პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 83 (13477) | სამშაბათი, 12 აპრილი, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

ნობათი სამშობლოს

ათასობით ჰექტარ სიცხისაგან დაგმსდარ მიწას უბრუნებენ სიცოცხლეს ჩვენი რესპუბლიკის ირიგატორები. საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტის „წყალმშენის“ კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა.

ახალ ხუთწლედში დამთავრდება ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა, რომელიც წყალს მიაწვდის 35 ათას ჰექტარ მიწას და სხვა წყალსამეურნეო ობიექტებს. რესპუბლიკაში გაიშალა უდიდესი ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის სამუშაოები. 1970 წლამდე ათვისებულ იქნება ათასობით ჰექტარი მიწა, რომელიც ამ სისტემით მოირწყვება.

ტრესტის კოლექტივი ძალ-ღონეს არ დაიშურებს, რომ 1966 წლის გეგმა ვადამდე შეასრულოს. (საქდესი).

ნაკისარი ვალდებულება წარმატებით შეასრულეს ზესტაფონის რაიონის მშრომელებმა. სახელმწიფოს მიეყიდა 1.080 ცენტნერი ხორცი ნაცვლად პირველი კვარტალის გეგმით გათვალისწინებული 740 ცენტნერისა, 2.295 ცენტნერი რძე ნაცვლად 1.200-ისა, 195 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 110 ათასისა, — აცნობა რედაქციას საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის პირველმა მდივანმა შ. ვერულაშვილმა.

საქართველოს კპ ვანის რაიკომის პირველმა მდივანმა გ. ყიფშიძემ, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ო. ბიორბაძემ, სოფლის მეურნეობის აღმართველოს უფროსმა ბ. მაღლაკელიძემ რედაქციას აცნობეს, რომ ვანელმა მშრომელებმა სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის ნაკისარი წლიური გეგმა 11 აპრილს შეასრულეს 118 პროცენტით, ხოლო კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა — 110 პროცენტით, რძის მიყიდვის პირველი კვარტალის გეგმა — 188 პროცენტით. ამასთან გააშენეს 250 ჰექტარი ხეხილის ბაღები, ნაცვლად 40 ჰექტარისა. დათესეს 190 ჰექტარი ბოსტნეული, გეგმა კი 150 ჰექტარს ითვალისწინებდა.

ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოსადმი კვერცხის მიყიდვის წლიური გეგმა 1 აპრილს გადაჭარბებით გაანადღეს. სახელმწიფოს მიეყიდა 193 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 190 ათასისა, აცნობეს რედაქციას საქართველოს კპ ორჯონიკიძის რაიკომის პირველმა მდივანმა ლ. ბერაძემ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ქ. დევდარიანმა.

კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა. ყრილობა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენაა, რომელიც მოასწავებს დიდმნიშვნელოვან მიშანსვეტს ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ისტორიაში, საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. საბჭოთა კომუნისტების ინტერმეტმილიონიანი არმიის წარმომადგენლებთან ერთად მასში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს 86 კომუნისტური და მუშათა, აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალისტური პარტიის დელეგაციებმა.

მოისმინა და განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომელიც ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა გააკეთა, ყრილობამ მთლიანად და სავსებით მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა, აგრეთვე წინადადებანი და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს საანგარიშო მოხსენება. ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელთა გამო მოხსენება გააკეთა ამხ. ა. ნ. კოსიგინმა. შეტანილია საწყობრივი ცვლილებანი სკკპ წესდებაში. მიღებულია განცხადება ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გამო. ერთსულოვნად არჩეულ იქნენ პარტიის ცენტრალური ორგანოები.

XXIII ყრილობამ განიხილა პარტიის პოლიტიკური, ეკონომიური, იდეოლოგიური და ორგანიზატორული საქმიანობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, შეაჯამა საბჭოთა ხალხის გმირული შრომის შედეგები, კოლექტიურად შეიმუშავა პარტიის პოლიტიკური ხაზი უახლოესი წლებისათვის.

ყრილობამ განსაზღვრა ჩვენი საშინაო პოლიტიკისა და საგარეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი მორიგი ხუთწლეულისათვის. პარტია მიზნად ისახავს მიაღწიოს ახალ მიჯნებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში, მკვეთრად გაადიდოს მთელი საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, უზრუნველყოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცება.

ყრილობამ განსაზღვრა ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს საგარეოპოლიტიკური კურსი. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მიზანია შექმნას ყველაზე ხელსაყრელი პირობები კომუნიზმის მშენებლობისათვის, განამტკიცოს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის ძლიერება და ყოველი ღონისძიებით მხარი დაუჭიროს ხალხთა ბრძოლას ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის, მშვიდობის განმტკიცებისა და ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების დამკვიდრებისათვის.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლებმაც კიდევ უფრო უნდა განამტკიცონ ჩვენი პარტია ორგანიზაციულად და იდეურ-პოლიტიკურად, აამაღლონ კომუნისტთა ავანგარდული როლი და მათი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისათვის, გააფართოონ და განამტკიცონ პარტიული ორგანიზაციების კავშირი მასებთან, გააუმჯობესონ კომუნისტური მშენებლობის მთელი პროცესის ხელმძღვანელობა.

პარტიის უმაღლესმა ორგანომ დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კომუნიზმისათვის ბრძოლის საქმეში. მან ცხადყო პარტიის მონოლიტური შეკავშირება, შეხედულებათა სრული ერთიანობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის უარყოფი ერთგულება მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი დროშისადმი.

პარტიული ყრილობის დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრის (1964 წ.), მარტისა და სექტემბრის (1965 წ.) პლენუმების დადგენილებანი, რომლებმაც უდიდესი დადებითი გავლენა მოახდინეს პარტიისა და სახელმწიფოს მთელ ცხოვრებაზე, აღნიშნეს მათი დიდი პრინციპული მნიშვნელობა მუშაობის ლენინური, ნამდვილად რეალისტური, საქმიანი სტილის დამკვიდრებაში. ლენინური სტილი დამახასიათებელი იყო თვით ყრილობისთვისაც. მთელი მისი მუშაობა მიმდინარეობდა ბოლშევიკური პრინციპულობის, მაღალი მომთხოვნელობის, წარმატებათა და ნაკლოვანებათა საღი შეფასების, ამოცანების დადგენისადმი შემოქმედებითი მიდგომის ვითარებაში. ყრილობაზე ახალი ძალით იჩინა თავი ჩვენი პარტიის რევოლუციურმა სულმა და პოლიტიკურმა სიმწიფემ.

XX-XXII ყრილობების, სკკპ პროგრამის მიერ განსაზღვრული ხაზის საფუძველზე პარტია განუხრელად მიუძღოდა საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობის გზით. მოხსენებებიდან და დელეგატთა გამოსვლებიდან ისახება ჩვენი საზოგადოების განვითარების მკაფიო სურათი. მიღწეულია დიდი წარმატებანი ეკონომიკაში, მეცნიერებასა და კულტურაში, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში. გაძლიერდა ჩვენი სამშობლოს პოზიციები ეკონომიურ შეჯიბრებაში მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებთან. განმტკიცდა საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური საფუძვლები — მუშათა კლასისა და კოლმეურნეთა გლეხობის კავშირი, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, ყველა მშრომელთა შეკავშირება პარტიის გარშემო.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ პარტიის პოლიტიკა მთელი საბჭოთა ხალხის სრული მხარდაჭერით სარგებლობს, რომ ეს, რომლითაც პარტია მიუძღვის ჩვენს ქვეყანას, ერთადერთი სწორი ლენინური გზაა.

XXIII ყრილობამ პარტიისა და ხალხის წინაშე დასახა კომუნისტური მშენებლობის გზით შემდგომი წინსვლის პერსპექტივები. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის ბრძოლაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იქნება ახალი ხუთწლიანი გეგმა.

ხუთწლედის მთავარი ეკონომიური ამოცანა ის არის, რომ ტექნიკურ-ტექნიკის მიღწევების ყოველი ღონისძიებით გამოყენების, მთელი საზოგადოებრივი წარმოების ინდუსტრიული განვითარების, მისი ეფექტიანობისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნას მრეველობის შემდგომი მნიშვნელოვანი ზრდა, სოფლის მეურნეობის განვითარების სწრაფი და მყარი ტემპები. და ამის მეოხებით მიღწეულ იქნას ხალხის ცხოვრების დონის არსებითი ამაღლება, ყველა საბჭოთა ადამიანის მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა უფრო სრული დაკმაყოფილება.

დიდი და წარმტაცია ხუთწლედის გეგმები. მატერიალური წარმოების ყველა დარგის ჯამობრივი პროდუქცია ყოველწლიურად გაიზრდება საშუალოდ შვიდი პროცენტით და მეტად. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა დასახულია გადიდდეს დაახლოებით ერთნახევარჯერ. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის განვითარებას. რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით დაახლოებით 1,3-ჯერ გაიზრდება.

XXIII ყრილობის დირექტივები ახალი ხუთწლედის შესახებ პარტიამ შეიმუშავა ნამდვილი მეცნიერული სიღრმით და ზუსტი გაანგარიშებით. ხუთწლიანი გეგმის შესრულების ერთერთი უმნიშვნელოვანესი პირობა იქნება მეურნეობის გაძღოლის ახალი სისტემის შემოღება. „ყრილობა ავალებს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს, — ნათქვამია რეზოლუციაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო, — თანმიმდევრულად განახორციელონ პარტიის მიერ შემუშავებული ეკონომიური პოლიტიკის პრინციპები, რომლებიც ითვალისწინებენ ცენტრალიზებული დარგობრივი მართვის შეხამებას მოკავშირე რესპუბლიკების უფლებათა გაფართოებასთან, მეურნეობის ხელმძღვანელობის ეკონომიური მეთოდების როლის გაძლიერებას, დაგეგმვის ძირეულ გაუმჯობესებას, საწარმოთა კოლექტივების სამეურნეო დამოუკიდებლობისა და ინიციატივის გაფართოებას, თავისთავ საქმიანობის შედეგებით მათი მატერიალური დაინტერესების გაზრდას. დაგეგმვის ახალი სისტემა და ეკონომიური სტიმულირების განხორციელება უახლოესი წლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა“.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დასახული პროგრამის განხორციელება ჩვენი ადამიანების ცხოვრებას გახდის კიდევ უკეთესს, უფრო მდიდარს, უფრო კულტურულს, კიდევ უფრო აამაღლებს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო ავტორიტეტსა და გავლენას. ხუთწლედი ხელს შეუწყობს მსოფლიო სოციალისტური სისტემის განმტკიცების საქმეს, იმპერიალიზმისათვის ახალი ლაჰერის ჩაცემა იქნება.

ყრილობამ თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად გვიჩვენა საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის ზრდა, მისი რიგების შემდგომი განმტკიცება. ჩვენი პარტია უფრო ძლიერი და მონოლითური გახდა, განმტკიცდა მისი კავშირი მასებთან. პარტია მტკიცე რწმენით მიუძღვის საბჭოთა ხალხს ახალი საზოგადოების მშენებლობის გზით, გამოდის ყველა მისი გამარჯვების მებრძოლ შთამაგონებლად და ორგანიზატორად.

ყრილობის გადაწყვეტილებებში აისახა აგრეთვე პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების შემდგომი განვითარება, ხელმძღვანელობის კოლექტიურობის პრინციპები. ყრილობამ მოიწონა ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული ღონისძიებანი პარტიის ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური საქმიანობის შემდგომი სრულყოფისათვის, წინადადებანი სკკპ წესდებაში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიდი გამარჯვებანი მოპოვებულია მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრების საფუძველზე, რომელიც კაშკაშა შუქურასავით გვინათებს წინსვლის გზას. ჩვენი პარტიის მთელი საქმიანობისათვის დამახასიათებელია მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარება. მისი ორგანული შეერთება მუშათა კლასისა და მშრომელთა მასების რევოლუციურ პრაქტიკასთან. ყრილობამ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თეორიული მუშაობა, კომუნისტთა და ყველა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდა პარტიის საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. XXIII ყრილობის მთელი მუშაობა რევოლუციური თეორიის შემოქმედებითი გამოყენებისა და განვითარების, მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმისა და კომუნიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის ბრძოლის მაგალითია.

ჩვენი პარტია საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის შემადგენელი ნაწილია, ერთ-ერთი რაზმია. ყრილობამ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წმიდად ასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, დაუცხრომლად და თანმიმდევრულად განამტკიცებს პროლეტარული სოლიდარობის კავშირს მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან, თანამედროვეობის მთელ რევოლუციურ ძალებთან.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალისტური ქვეყნების ძლიერებისა და შეკავშირების განმტკიცებას. ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან გამდიდრდა, უფრო მჭიდრო და გულთადი გახდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ განავითაროს და განამტკიცოს იდეურ-პოლიტიკური კავშირი სოციალიზმის ყველა ქვეყნის კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების საფუძველზე, ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი სოციალისტური თანამეგობრობის შეკავშირებას, მისი ძლიერებისა და გავლენის განმტკიცებას.

სულ უფრო განამტკიცებს თავის პოზიციებს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა. 88 კომუნისტური პარტია თავის რიგებში აერთიანებს თითქმის 50 მილიონ კაცს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ ყველა კომუნისტის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ჩვენი მოძრაობის შეკავშირებას. ყრილობამ მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხაზი და პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მოწესრიგდეს უთანხმოებანი საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპულ საფუძველზე, 1957 წლის დეკლარაციისა და 1960 წლის განცხადების საფუძველზე.

რევოლუციური ძალების შეკავშირებას დაბეჯითებით მოითხოვს საერთაშორისო ვითარება. იმპერიალისტები აძლიერებენ ძირგამომთხრელ საქმიანობას სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ, ყველა იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომლებიც სოციალური პროგრესის გზას დაადგნენ. თანამედროვეობის მთავარი რეაქციული ძალა, რომელიც მსოფლიო ჟანდარმის როლში გამოდის, ამერიკის იმპერიალიზმია. მისი აგრესიული ხასიათი განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა დანაშაულებრივ ომში ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

პარტია და მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ უჭერენ მხარს გმირი ვიეტნამელი ხალხის სამართლიან განმათავისუფლებელ ბრძოლას, უწევენ მას პოლიტიკურ, მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას. ბოლო მოეღოს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში, გაყვანილ იქნან სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარები, მიეცეს ვიეტნამელ ხალხს შესაძლებლობა თვითონ წყვეტდეს თავის საშინაო საქმეებს — ასეთია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მტკიცე და თანმიმდევრული პოზიცია.

ჩვენი პარტია მხარს უჭერს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიური ჩაგვრისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, ავითარებს ყოველმხრივ თანამშრომლობას ქვეყნებთან, რომლებმაც ეროვნული დამოუკიდებლობა მოიპოვეს, ყოველი ღონისძიებით უწყობს ხელს ანტიიმპერიალისტური ფრონტის განმტკიცებას.

ყრილობამ სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის საგარეოპოლიტიკური საქმიანობა. იმ პირობებში, როცა იმპერიალიზმის აგრესიული ძალები ამწვავებენ საერთაშორისო დაძაბულობას, ქმნიან ომის კერებს, ჩვენი პარტია დაუცხრომლად გააძლიერებს საბჭოთა ხალხის სიფხიზლეს, განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვითს ძლიერებას. ყრილობამ დასახა პროგრამა ღონისძიებებისა, რომელთა მიზანია საყოველთაო მშვიდობის და საერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცება. ეს პროგრამა შეესაბამება არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ აგრეთვე მთელი ანტიიმპერიალისტური, მშვიდობისმოყვარე ძალების ინტერესებს.

ყრილობა მიმდინარეობდა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის; პარტიისა და ხალხის მიერ მის გადაწყვეტილებათა მხურვალე მხარდაჭერის მღელვარე ატმოსფეროში. ყრილობის სახელზე მოვიდა 90 ათასზე მეტი მისალმება, წერილი და შრომითი პატაკი. როგორც ჩვენი გამარჯვებების მაუწყებელი გისმა ყრილობის დღეებში პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“, რომელიც კოსმოსიდან გადმოსცა მთავარის საბჭოთა თანამგზავრმა.

კომუნისტები, ყველა საბჭოთა ადამიანი ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს. მშობლიური ლენინური პარტია მათ მიაჩნია მებრძოლ ორგანიზატორად და პოლიტიკურ ბელადად, რომელიც მტკიცე რწმენით მიუძღვის ხალხს კომუნიზმის გზით.

წინ დიდი და ძნელი სამუშაო მოგველის. იმისათვის, რომ განვახორციელოთ ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანები, საჭიროა მთელი პარტიის, მთელი ხალხის უდიდესი მეცადინეობა, ენერგია და შემოქმედებითი შრომა. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა განუმარტონ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, გააცნონ მათი ღრმა აზრი და შინაარსი თითოეულ საბჭოთა ადამიანს, დარაზმონ საბჭოთა ხალხის მთელი ძალები მათი წარმატებით შესრულებისათვის.

ყრილობამ მოუწოდა ყველა კომუნისტს, მუშას, კოლმეურნეს, საბჭოთა ინტელიგენციას დიადი თარიღების — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის, მოიპოვონ ახალი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში, უზრუნველყონ ჩვენი ქვეყნის დირსეული წვლილი მსოფლიო სოციალიზმის ძლიერების განმტკიცებაში, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ძლევამოსილი განვითარების საქმეში.

პარტია რწმენით და ოპტიმიზმით შეჰყურებს მომავალს. XXIII ყრილობამ გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ პარტიის მიერ შემუშავებული ამოცანები და გეგმები განხორციელდება, ჩვენი ქვეყანა ახალ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯს გადადგამს კომუნიზმის გზაზე.

მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი დროშით, ლენინის გმირი პარტიის წინამძღოლობით წინ, კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ!



ПРАВДА 10 აპრილის ეროვნული

12 აპრილი კოსმონავტიკის დღეა!

აი ისინი, გმირები, კოსმონავტი-მფრინავები (მარცხნიდან მარჯვნივ) — პირველ რიგში: ა. ბ. ნიკოლაევი, გ. ს. ტიტოვი, ი. ა. გაგარინი, ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვა; მეორე რიგში: კ. პ. ფეოქტისტოვი, ბ. ბ. ეგოროვი, ა. ა. ლეონოვი, მესამე რიგში: ვ. მ. კომაროვი, ვ. ვ. კოვალიონოკი, პ. ი. ბელიაევი.

ფოტომონტაჟი ვ. დანილოვისა (საკდესის ფოტოკორესპ.).

შეხვედრა ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციასთან

11 აპრილს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა XXIII ყრილობაზე ჩამოსულ ვიეტნამის მშრომელთა პარტიის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში არიან ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ლე ზუანი (დელეგაციის მეთაური), ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. ნგუენ ზუი ჩინი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ამხ. ნგუენ ვან კინი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, გაზეთ „ნიან ზანის“ მთავარი რედაქტორი ამხ. ჰოანგ ტუნგი.

შეხვედრის დროს გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი, რომელზეც განიხილეს ორივე მოძმე პარტიისათვის საინტერესო საკითხები.

შეხვედრა კორეის შრომის პარტიის დელეგაციასთან

11 აპრილს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა სკკპ XXIII ყრილობაზე ჩამოსულ კორეის შრომის პარტიის დელეგაციას, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ცოი ენ გენი (დელეგაციის მეთაური), კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ამხ. პაკ სენ ჩერი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ხო სოკ სონი, კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. კიმ უ დენი. შეხვედრაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ვ. ანდროპოვი.

შეხვედრას დაესწრო კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ამხ. ხო განი.

საუბრის დროს, რომელიც გულითადი, მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, განიხილეს ორივე მოძმე პარტიისათვის საინტერესო საკითხები.

უცხოელი სტუმრები საქართველოში

გასულ კვირადღეს თბილისში ჩამოვიდნენ ბელგიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის თავმჯდომარის ამხ. ერნესტ ბიურნელის მეთაურობით და მარტინიკის კომუნისტური პარტიის დელეგაცია პარტიის გენერალური მდივნის ალბან ნიკოლის მეთაურობით. დელეგაციები მონაწილეობდნენ სკკპ XXIII ყრილობის მუშაობაში. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ბელგიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ჟან დენ ბრანდენი, ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ეროვნული მდივანი ამხ. ანრი ლორანი და ბელგიის კომპარტიის ორგანოს გაზეთ „დრაპო რუჟის“ მოსკოველი საკუთარი კორესპონდენტი ამხ. ჟან-მარი შოვე.

თბილისში ჩამოვიდა აგრეთვე მარტინიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. ემანუელ პაკე.

თბილისის აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. ი. ფრუიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

ხანმოკლე მესვენების შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ქალაქი, დაესწრნენ ფეხბურთის მატჩს, რომელიც გაიმართა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდებს შორის.

11 აპრილს საზღვარგარეთელი ამხანაგები გაემგზავრნენ კახეთის რაიონებში. (საქდესი).

სურათზე: უცხოელ სტუმრებთან შეხვედრა თბილისის აეროდრომზე. მარცხნივ — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. რ. ი. ფრუიძე.

(საქდესის ფოტოკორესპ.).

ზურაბ ანჯაფარიძე — სსრ კავშირის სახალხო არტისტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 8 აპრილის ბრძანებულებით საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭათ საბჭოთა კავშირის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ოპერის სოლისტებს.

მათ რიცხვში სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა ჩვენს თანამემამულეს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ზურაბ ივანმს-ძე ანჯაფარიძეს.

სურათზე: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე.

ფოტო ვ. ლ. გინზბურგისა.

ხუთწლედის წარმატებები იჭედება დღეს

სკკპ XXIII ყრილობის მაღალ ყვეტილებანი — ცხოვრებაში!

წინ დიდი მიზნებია

ამ დღეებში მილიონობით საბჭოთა ადამიანის ყურადღება მიპყრობილი იყო მოსკოვისაკენ, კრემლისაკენ, სადაც მიმდინარეობდა სკკპ XXIII ისტორიული ყრილობა. ჩვენი მშობლიური პარტიის წარგზავნილები ერთსულოვნად, გულმოდგინედ განიხილავდნენ საბჭოთა ხალხის, ჩვენი ადამიანის შემდგომი კეთილდღეობის ამაღლების საკითხებს. მე—დელეგატი არ ვყოფილვარ, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ვმონაწილეობდი მის მუშაობაში. დამთავრდა იგი, და ჩემთვის, ისე როგორც ყველა საბჭოთა მშრომელისათვის, ნაცნობია ყოველი ღონისძიება და გადაწყვეტილება, რომელიც ამ დიდმა ფორუმმა მიიღო. იგი მხურვალედ მოიწონეს ჩვენმა ადამიანებმა და მსოფლიოს პროგრესულმა ძალებმა.

გამახარა იმან, რომ ჩვენი მეცნიერების მუშაობამ ყრილობაზე მაღალი შეფასება მიიღო. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ ხომ ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტია, რომელშიც სრულად არის ასახული სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარების უახლოესი ხუთი წლის პროგრამა, რომელსაც პარტია უსახავს საბჭოთა ხალხს, მეცნიერებას, კერძოდ მედიცინის მეცნიერებას. უკვე აქედანვე ვფიქრობთ, როგორ უნდა ვიმუშაოთ, რომ მოვიპოვოთ ბეტი მიღწევები მედიცინის დარგში, რომ საბჭოთა მეცნიერები კვლავ ვიდგეთ ხალხის ჯანმრთელობის დაცვის ფრონტის მოწინავე ხაზზე.

ამ სასიხარულო დღეებს დაემთხვა ჩემი სხვა სიხარულიც — მომენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. ვეცდები ვიმუშაო ისე, რომ აწინდელი შრომითაც გავამართლო დიდი ნდობა და ვიმოღვაწო ისე, როგორც სოციალისტური შრომის გმირს შეეფერება.

კ. ერისთავი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი.

ჩვენი სახალხო გეგმა

ახალი ხუთწლედი — ეს ჩვენი, სახალხო გეგმაა. მანქანათმშენებლების წინაშე მასში სერიოზული ამოცანებია დასახული. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კვების მრეწველობისათვის მოწყობილობის წარმოება 1,5-ჯერ უნდა გაეადიდოთ.

ჩვენი ქარხნის კოლექტივს ეს საპატიო ამოცანა მთელი სერიოზულობით შეუსისხლხორცებია და ენერგიას არ იშურებს მისი წარმატებით განხორციელებისათვის.

პარტია გვავალებს დავაჩქაროთ ახალ კონსტრუქციათა მანქანებისა და მოწყობილობის შემუშავება და დამზადება, მნიშვნელოვნად შეეამციროთ სამრეწველო წარმოების ათვისება და სახალხო მეურნეობაში მათი დანერგვის ვადები.

ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ მომავალი წლიდან უარი ვთქვათ დაბალი წარმადობის ცალკეული მანქანების, ხოლო 1968 წლიდან ნახევრადავტომატური მანქანების წარმოებაზე, იმ ვარაუდით, რომ ხუთწლედის ბოლო ორ წელიწადში ქარხანა გადავიყვანოთ ახალი მძლავრი ნაკადური ხაზების წარმოებაზე.

ამჟამად ჩვენ ვუშვებთ საათში 10 და 20 ტონა წარმადობის ყურძნის გადამმუშავებელ მანქანებს. წელს უნდა ავითვისოთ საათში 30 ტონა წარმადობის ასეთი მანქანები. მაგრამ ეს კიდევ საბოლოო სიტყვა როდია. ხუთწლედის ბოლოს კვების მრეწველობას მივაწოდებთ საათში 50 ტონა სიმძლავრის ყურძნის გადამმუშავებელ მანქანებს.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი კოლექტივი შემოქმედებითი, ენერგიული შრომით პირნათლად გაანაღდებს დაკისრებულ მოვალეობას.

ლ. აივაზოვი,
თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის დირექტორი.

გული სიამაყით ივსება

უველა საბჭოთა ადამიანთან ერთად ჩვენ, ქუთაისელი მკერავები, შეუნელებელი ინტერესითა და გულისყურით ვსწავლობთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მასალებს. ყრილობაზე ამხ. ლ. ბრეჟნევისა და ამხ. ნ. კოსიგინის ღრმაშინაარსიან მოხსენებას რომ ვეცნობით და იმ დიდ წარმატებებს რომ გავიაზრებთ, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა პარტიის წინამძღოლობით მიაღწია, გული სიამაყით გვევსება. გვახარებს, რომ ყრილობამ განიხილა და მიიღო ახალი ხუთწლიანი გეგმა.

გვახარებს ისიც, რომ ჩვენი ფაბრიკის წარგზავნილი მოწინავე მკერავი ლილი დავითაულიანი როგორც დელეგატი მონაწილეობას იღებდა ყრილობის მუშაობაში. ცვლა, სადაც ჩვენი წარგზავნილი მუშაობს, მოწინავეა მთელ ფაბრიკაში.

პირადად მე ვკისრულობ 120 პროცენტით შეესრულო ყოველდღიური დავალება, გამოვუშვა უმაღლესი ხარისხის პროდუქცია.

ნ. ჭანკვეტაძე,
ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის მუშა, საქალაქო საბჭოს დეპუტატი.

სიხარულის დღეები

დიდ სიხარულს სიხარული დაემატა. მშობლიური კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის მუშაობის დღეებში სსრ კავშირს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით სოციალისტური შრომის გმირობა მომენიჭა. ჩემი შრომის ესოდენ დიდი მეფობა ბევრს მავალებს. წელს უფრო მეტს გავაკეთებთ. მევეხახეობის ბრიგადის, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ალაზნის ირხის გაყოლებით გაშენებული აქვს რქაწითელის ვენახები. ჩვენი მოყვანილი ყურძნიდან ღვინო „ტიბათინი“ მზადდება. შარშან ყურძნის უხვი მოსავლით გავახარეთ დედა-სამშობლო, არც წელს ჩამოვრჩებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, ამ ყრილობის დირექტივები „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1966-1970 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდი დოკუმენტებია.

ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ჩვენც ტიბათინელები ერთსულოვნად გიწონებთ ჩვენი პარტიის ლენინურ კურსს და თავდადებით ვიბრძოლებთ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის.

ვ. ხუციურაული,
სიღნაღის რაიონის ტიბათინის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.



სურათზე: თბილისის № 1 ავტოშემკეთებელი ქარხნის საიარაღო საამქროს პარტორგანიზაციის მდივანი რ. გეგორქოვი აცნობს მუშების ჯგუფს სკკპ XXIII ყრილობის მასალებს.

ფოტო ს. კილაძისა.

მშრომელები უპასუხებენ

მათი სიტყვა და საქმე

— მოხარული ვართ გაცნობოთ, რომ ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანეცისტის მაღარო ახალი ითხვისს კოლექტივმა, რომელიც სკკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში იყო ჩაბმული, — ნათქვამია რედაქციისათვის გამოგზავნილ დეპეშაში, — 20 მარტისათვის პირნათლად გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება. გადაჭარბებით არის შესრულებული სასაქონლო პროდუქციისა და მაღალი ხარისხის მარგანეცის დამზადების პირველი კვარტალის გეგმები. კიდევ უფრო ნაყოფიერად შრომობს მაღაროს კოლექტივი აპრილში.

დეპეშას ხელს აწერენ დირექტორი **ი. ბაირამაშვილი**, პარტბიუროს მდივანი **ე. კაპანაძე**, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე **ლ. იობაშვილი.**

შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის დღეებია საქართველოში. რესპუბლიკის მშრომელები ფაბრიკა-ქარხნებიდან, ახალშენებლობებიდან და სახალხო მეურნეობის სხვა უბნებიდან გზავნიან შრომითის პატაკებს, პატრიოტული სტყვებით აღსავსე ბარათებს, რომლებშიც ნათლად ჩანს ჩვენი ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერა სკკპ XXIII ყრილობის გრძნული გადაწყვეტილებისადმი და მოწონებული ერთსულოვნებაა ერთ-ერთ ბარათში, გაცნობ ოთ, რომ ჭიათურის ლენინის ორდენოსანი მარგანეცისტის მაღარო ახალი ითხვისს კოლექტივმა, რომელიც სკკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში იყო ჩაბმული, — ნათქვამია რედაქციისათვის გამოგზავნილ დეპეშაში, — 20 მარტისათვის პირნათლად გაანაღდა ნაკისრი ვალდებულება. გადაჭარბებით არის შესრულებული სასაქონლო პროდუქციისა და მაღალი ხარისხის მარგანეცის დამზადების პირველი კვარტალის გეგმები. კიდევ უფრო ნაყოფიერად შრომობს მაღაროს კოლექტივი აპრილში.

ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

ალექსანდრე ულიანოვი

დაბადების 100 წლისთავი

მეფის რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება ასეთი ჩანაწერი: 1 მარტს ნევის პროსპექტზე დაახლოებით დილის 11 საათზე დაპატიმრებულ იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტის სამი სტუდენტი, რომლებსაც გაჩხრეკისას ყუმბარები აღმოაჩნდათ. დაპატიმრებულებმა განაცხადეს, რომ ისინი ეკუთვნიან დანამაულებრივ ორგანიზაციას...

1887 წელს მეფე ალექსანდრე III-ის წინააღმდეგ თავდასხმის მომზადებაში მონაწილე ჯგუფის დაპატიმრება ელვის სისწრაფით მოედო მთელ რუსეთს. ამ ჯგუფის თავკაცი იყო ალექსანდრე (საშა) ილიას-ძე ულიანოვი, და დღეს მკვლევარები ამ თარიღით იწყებენ ულიანოვების გვარის რევოლუციურ გენეალოგიას რუსეთისა და საერთაშორისო პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში.

მეფის მოსასკლავად შეთქმულების მოწყობა იმ დროს, როცა ქვეყნად სასტიკი პოლიციური რეჟიმი ძვინვარეობდა, თავისთავად დიდი გმირობა იყო. ახალგაზრდა ნაროდნოვოლცები არ შეუშინდნენ სიკვდილის საფრთხეს. ისინი მიდიოდნენ მტკიცე გადაწყვეტილებით — მოიკლათ მეფე. მაგრამ ორმაგის ხელი ყელში სწვდა ახალგაზრდა ტერორისტებს.

შეთქმულთა ნებისყოფის სიმტკიცემ შლისელბურგის ციხის ცივ საკანშიც იჩინა თავი. დაპატიმრებულნი პოლიციისათვის მიცემულ ჩვენებებშიც არ უარყოფდნენ თავიანთ გადაწყვეტილებას. იმის ნაცვლად, რომ დმცველი მოეთხოვა, ულიანოვმა ამჯობინა უარი ეთქვა ადვოკატზე, რათა სასამართლო პროცესი მეფის რუსეთის დესპოტიზმის სამსჯავროდ გადაექცია. სასამართლოში მან წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვა. „ეს დავრწმუნდი, — განაცხადა მან, — რომ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზეგავლენის ერთადერთი სწორი გზაა პროპაგანდა კალმით და სიტყვით. მაგრამ ამასთან ერთად როგორც თეორიულმა ფიქრებმა, ისე ყველაზე თვალსაჩინოდ ცხოვრებამ მიჩვენა და იმ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ არსებულ პირობებში ამ გზით წინსვლა შეუძლებელია. შეუძლებელია არა მარტო სოციალისტური პროპაგანდა, არამედ თითქმის საერთო კულტურულიც კი ამ ვითარებაში, რომელიც არსებობს ახლა ხელისუფლებასა და გონებრივ ცხოვრებას შორის“.

ახალგაზრდა რევოლუციონერმა თავისი მგზნებარე სიტყვა ასე დაამთავრა: „რუს ხალხში ყოველთვის მოიძებნება ათობით ადამიანი, რომლებიც იმდენად ერთგული არიან თავიანთი იდეებისა და იმდენად მწვავედ გრძნობენ სამშობლოს უბედურებას, რომ მათთვის სიკვდილი მსხვერპლს არ წარმოადგენს. ასეთ ადამიანებს ვერფრით ვერ შეაშინებ“.

მეფის სასამართლომ ა. ულიანოვს თავის ამხანაგებთან (ანდრიუშკინი, გენერალოვი, ოსიპანოვი, შევირიოვი) ერთად სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. ა. ულიანოვი სასტიკად წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ეთხოვა შეწყალება, მაგრამ ბოლოს, როცა უკვე დაყოლიეს დაეწერა თხოვნა შეწყალების შესახებ, მან ისეთი ტექსტი შეადგინა, რომ მეფისათვის მისი წარდგენა არ შეიძლებოდა.

ვ. ი. ლენინის უფროსი ძმა ალექსანდრე დაიბადა ნიჟნი ნოვგოროდში (გორკი) 1866 წელს. მანაც ოქროს მედლით დაამთავრა ქ. სიმბირსკის გიმნაზია 1883 წელს. გიმნაზიაში მას განსაკუთრებით იტაცებდა ბუნების მეტყველება და ამ გატაცებამ ... ნხრით შეიტანა პეტერბურგის უნივერსიტეტში. სტუდენტობის დროს იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭით. მას ყველა მონაცემი ჰქონდა იმისათვის, რომ ყოფილიყო დიდი დიალექტიკის მკვლევარი. სტუდენტობაშივე დამოუკიდებლად დაწერა შრომა, რომელსთვისაც უნივერსიტეტის საბჭომ ოქროს მედალი მიანიჭა.

მაგრამ ა. ულიანოვის ყველაზე დიდი გატაცება თავისუფლებისათვის, სოციალური უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. პეტერბურგის უნივერსიტეტის მერხიდან დაიწყო მან რევოლუციური მოღვაწეობა. ახალგაზრდა სტუდენტის თფიციალური საკითხვე წიგნებს სულ უფრო ემატებოდა არალეგალური. კ. მარქსის „კაპიტალი“ ჭაბუკს პოლიტიკურ რომანად ექცა.

1885-1886 სასწავლო წლების საზაფხულო არდადეგების დროს პეტერბურგიდან შინ ჩასულ ალექსანდრეს თან ჰქონდა მარქსის „კაპიტალი“. ამიტომაც რევოლუციურად განწყობილი ლენინი ჯერ კიდევ მაშინ შეუდგა ამ გენიალური წარმოების გაცნობას.

1887 წლის გაზაფხულზე ულიანოვების ოჯახს დიდი მწუხარება დაატყდა: მაისს უფროსი ვაჟიშვილი ალექსანდრე ოთხ თანამოაზრესთან ერთად შლისელბურგის ციხის ეზოში სახრჩობელაზე აიყვანეს. ახალგაზრდა რევოლუციონერებმა სიკვდილს წინ კიდევ ერთხელ ამაყად შესძახეს მგზნებარე მოწოდებანი ძირს დესპოტიზმი, გაუმარჯოს თავისუფლებას!

ციხის ყრუ ეზოში წარმოთქმულ მჭუხარე მოწოდებას მალე მთელი რუსეთი დაეცა. ... ულიანოვებმა თქვა ცნობილი სიტყვები: „არა, ჩვენ ასეთი გზით არ ვალთ, ასეთი გზით არ უნდა ვიარო“.

და მართლაც რამდენიმე წლის შემდეგ ახალი გზით, ლენინის მიერ ნაჩვენები გზით წარმართა რუსეთმა რევოლუციური მოძრაობა. ისტორიის ავანსცენაზე ნაროდნოვოლცებისა და რახმეტოვების ადგილი რევოლუციურმა პროლეტარიატმა დაიკავა.

ცხადია, ინდივიდუალური ტერორისტიკის, რომელიც სწამდა ალექსანდრე ულიანოვს, არ შეეძლო გამარჯვება მოტანა. ეს იყო იმ შეცდომათაგან ერთი, რომლებიც ასე ძვირად უჯდებოდა რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას. უფრო გვიან, ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ლენინი წერდა, რომ „ერთადერთი სწორი რევოლუციური თეორია რუსეთმა ბეშმარიტად ტანჯვა-მოიპოვა“.

რევოლუციური თეორიით რევოლუციური ტაქტიკა გრძელდებოდა. უკან რჩებოდა შეცდომები, ხოლო გრძოლის გზა რული ტრადიციები კიდევ უფრო ვითარდებოდა. უკმაოდ არ ჩაუფლია ა. ულიანოვისა და მისნ მეგობრების სიკვდილი დასჯის გამო პროტესტის ნიშნად დაგეგმილი პროკლამაციის სიტყვებს: „ჩვენ ვეტყვით მთელ რუსეთს: უყურე, როგორ შეუძლიათ ბრძოლა და სიკვდილი შეუდგეთ რევოლუციონერებს! ჩვენ ღრმად აღვსებულ ჩვენს გულში, მათს მაგალითზე აღზრდით ჩვენს თავს და აღვუზრდით საკუთარ შვილებს ჩვენს მშობლიურ მიწას. განისვენეთ მშვიდად, ძვირფასო ძმებო, თქვენ ღირსეულად აღასრულეთ თქვენი ვალი. თქვენ მტკიცედ გეჭყრათ თავისუფლებისა და სიმართლისათვის ბრძოლა დროშა“.

ეს დროშა ესტაფეტასავით მიიღო პროფესიონალმა რევოლუციონერებმა. დღეს იგი ამაყად ფრიალებს დედამიწის უდიდეს ნაწილში, როგორც თავისუფლების, მშვიდობის, ხალხთა ძმობის ბედნიერების სიმბოლო.

ვ. ნაჭყებია.

დიდი ამოცანები, დიდი პასუხისმგებლობა

მოვიდა გაზაფხული და საცაა გამოიტანს კვირტსა და ყვავილს ვაზი... ასე იწყებს ერთ თავის ფელეტონს დიდი ილია. აქ შემთხვევით როდია ერთად ნახსენები ვაზი და გაზაფხული. ვაზი ხომ გაზაფხულივით სიცოცხლისა და განახლების სიმბოლოა, ვაზი შვილივით ნაზარდი ქართველი კაცისათვის ისევე ახლობელია, როგორც პირშუო. ეს საოცარი მცენარე ჩვენი უძველესი წინაპრებისა უახლოესი მეგობარი ყოფილა, თუმცა ზუსტად არ ვიცით, როდის, რომელ საუკუნეში წარმოიშვა იგი.

ისტორიის გაყვითლებული ფურცლები ძუნწად მოგვითხრობენ, რომ ჯერ კიდევ სტრაბონის დროს ლაპარაკობდნენ კოლხეთის ღვინოებისა და ყურძნის მშვენიერებაზე. მევენახეობა საქართველოში უფრო დიდ სიმაღლეზე ასულა პირველ საუკუნეში, შემდეგ კი არამთა, თურქთა და ირანელთა ურდოებს, ქართველი ხალხის გაღატაკებისა და განადგურების მიზნით, მსრავალჯერ აუოხრებიათ ეს ძვირფასი კულტურა, მაგრამ ის კვლავ აღმდგარა და ნაყოფით გაუხარებია ქართველი კაცი.

საქართველო ვაზის უპირველესი სამშობლოა, აქ აუდგამს მას გაკაცური ფეხი და აქედან გავრცელებულა დასავლეთ ევროპაცა და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ქართული მიწის ამ დიდებულმა კულტურამ შესანიშნავი ღვინის მოცემა იცის. ქართული ღვინოების ღირსება ნაქებია საუკუნეთა მანძილზე.

რით გაითქვა სახელი ჩვენმა ღვინომ? ამაზე შესანიშნავად უპასუხა ქართული ვაზის ერთგულმა ქომაგმა დიდმა ილიამ. იმიტომ „რომ ჩვენებური ღვინო მართალი ღვინოა; რომ ჩვენს ღვინოში არა არის რა. გარდა ყურძნის წვნისა... რომ ჩვენში ღვინო საყოველთაო სახმარი სასმელია: დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, ჩვეულია ღვინის სმა...“

მაგრამ ჩვენებური ვაზისა და ღვინის დიდება ისეთ მწვერვალზე არასოდეს არ ყოფილა, როგორიც დღეს. ოთხმოცეიოდე წლის წინათ ილია ჭავჭავაძე იმაზე ოცნებობდა, რომ ქართულ ღვინოს ბაზარი რუსეთში მაინც ეპოვნა. ახლა ქართული ღვინო, შამპანური და კონიაკი ცნობილია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. მაგალითად, სამგრესტის პროდუქცია იგზავნება საფრანგეთში, გერმანიაში, ფინეთში, ირანში, იტალიაში, სირიაში, საბერძნეთში, ჰოლანდიაში, ინგლისში, ჩილეში, სუდანში, ბირმაში, ავსტრიაში, იუგოსლავიაში, თურქეთში, კუბაში, კორეაში, ინდოეთში, შვეიცარიაში, ჩეხოსლოვაკიაში, პოლონეთში და მრავალ სხვა ქვეყანაში, აღარფერს ვამბობთ საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რეპუბლიკაზე, სადაც ჩვენს ღვინოებს ძალიან ბევრი მოყვარული და მეგობარი ჰყავს.

ქართულმა ღვინოებმა, შამპანურმა და კონიაკებმა საერთაშორისო ჯილდოები — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს ბრიუსელის. ლიუბლიანის. მოსკოვის, ბუდაპეშტის კონკურსებზე. თავისი მაღალი ღირსების გამო მათ მსოფლიოს მეღვინეთა დიდი ინტერესი გამოიწვიეს. მათ დამსაბურებული ყურადღება მიაქცია მსოფლიო კონგრესმა, რომელიც შარშან თბილისში გაიმართა, სადაც ქართულმა ღვინოებმა დიდად ისახელეს თავი. ოქროს მედალი მიიღო 33 დასახელების ღვინომ, შამპანურმა და კონიაკმა. ამას დაემატა კიდევ 18 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი, სულ ქართულ ღვინოებს და შამპანურს, კონიაკებს მიღებული აქვთ 53 ოქროს მედალი, 65 ვერცხლისა და 7 ბრინჯაოს მედალი.

ეს თავისთავად ნიშნავს არა მარტო ქართული ვაზის გამარჯვებას მთელ მსოფლიოში, არამედ ღვინის დაყენების ქართული ტექნოლოგიის გამარჯვებას. ქართველ მეღვინეებს მსოფლიო კონგრესზე ქართული ღვინოების გამარჯვებით აფიცრთოვანებიდა დიდი საბჭოთა მწერალი შოს�ep შოლოხოვი წერს: „თქვენებურმა ღვინომ ქართველი ხალხის ბევრი დიდებული ღირსებებიდან შეინისსლხორცა სამი შესანიშნავი თვისება: სიმაგრე, სინაზე, ფუფუოვრობა. ვეთაყვანებიდ ქართულ მეოვ-ოყალს“.

მეღვინეობის კლასიკური ქვეყნის — საფრანგეთის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ქართველ მეღვინეებთან საუბარში განაცხადა, რომ როდესაც ფრანგის ოჯახში ქართული ღვინოს, კერძოდ „წინანდალს“ დაინახავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ოჯახში არის რაღაც დიდი ბედნიერება — ქორწილი, ძეობა ან სხვა რაღაც დიდი ზეიმი. ეს შემთხვევით ნათქვამი როდია.

ქართული ვაზის ნაწარმი ჩვენი ეროვნული სიამაყეა, რომელითაც გვიცნობს და გვაფასებს მსოფლიოს მრავალი ხალხი. ამიტომ ჩვენი ღვინოების ხარისხის ამაღლებასა და მის სახელზე ზრუნვა საბოლოო ანგარიშით ნიშნავს ჩვენი რესპუბლიკის ავტორიტეტის ამაღლებაზე, ქართველი კაცის შრომის დიდებაზე ზრუნვას. ვისაც თავისი ცხოვრების მიზნად ეს დიდებული ამოცანა არ დაუსახავს, ეა არც უნდა მუშაობდეს ამ დარგში.

უკანასკნელ პერიოდში ამაღლდა სამარკო ღვინოების, შამპანურისა და კონიაკის წარმოება. მარტო გასული შვიდწლედის ბოლოს წარმოებულ იქნა 8.393 ათასი დეკალიტრი ღვინო, 7.725 ათასი ბოთლი შამპანური, 445 ათასი ბოთლი კონიაკი. 1965 წელს მიღებულ იქნა და გადამუშავდა 245.039 ტონა ყურძენი.

რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში უკანასკნელ წლებში აშენდა ყურძნის პირველადი დამუშავების ათობით საწარმო, აშენდა და გაფართოვდა ღვინის ჩამომსხმელი ქარხნების ქსელი, ბევრი რამ გაკეთდა ყურძნის გადამუშავების მექანიზაციისათვის, წარმოებაში ფართოდ ინერგება მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა გამოცდილება.

მომავალში უფრო მეტად გაიზრდება ვენახის ფართობები და ყურძნის წარმოება, როგორც საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობაზე აღინიშნა, ახალი ხუთწლედის ბოლოს რესპუბლიკაში ყურძნის წარმოება გადიდდება 486 ათას ტონამდე. აქედან სახელმწიფოს მიეყიდება სულ მცირე 400 ათასი ტონა. ეს 170 ათასი ტონით სჭარბობს 1965 წლის გეგმას. ეს ძალიან დიდი ზრდაა!

ბოლო წლებში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განახორციელეა მთელი რიგი ღონისძიებანი საზოგადოებრივი მეევნახეობის შემდგომი განვითარებისათვის.

ახალ ხუთწლედში დასახულია ამოცანა 123 ათას ჰექტარამდე გაიზარდოს ვენახების ფართობი. ამასთან გაიზრდება ღვინის, შამპანურისა და კონიაკის წარმოებაც.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ახალ ხუთწლედში ღვინის წარმოება გაიზრდება 1,7-ჯერ, მათ შორის სამარკო ღვინოებისა 1,2-ჯერ, მნიშვნელოვნად გაიზრდება შამპანურისა და კონიაკის წარმოება. შრომის ნაყოფიერება გაიზრდება 32 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება მნიშვნელოვნად შემცირდება. სახელმწიფო მიიღებს 210 მილიონ მანეთზე მეტ მოგებას.

ესმით ამოცანების შესასრულებლად საჭირო იქნება იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა და დანაშაულობათა მთლიანად აღმოფხვრა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სამგრესტის სისტემაში. საქართველოს კომპარტიის XXIII ყრილობაზე აღინიშნა: ჩვენს რესპუბლიკას ჩირქს სცხებს, მაგალითად, ის სამწუხარო ფაქტი, რომ „სამგრესტის“ სისტემაში მუშაკთა დიდი ხვეში სანერძლივი დროის განმავლობაში ეფუფდა დატაცებას, დიდი თანხა მიითვისა და სერიოზული ზარალი მიაყენა სახელმწიფოს.

სასტიკად უნდა დასჯილთ ასეთი ადამიანები.

შემოწმებით დასტურდება, რომ ზოგიერთი უღირსი ადამიანი აფუძებს დიდებულ ქართულ სასმელებს, აუარესებს მათს ხარისხს. ამ დანაშაულს ჩადიან როგორც „სამგრესტის“, ისე ვაჭრობის სისტემაში შემძვრალი უპატიოსნო პირები.

ზოგიერთი პირველადი მეღვინეობის ქარხანა არღვევს ღვინოების დამუშავების ტექნოლოგიას, რის შედეგადაც მეორადი მეღვინეობის ქარხნებს ჩამოასასხმელად ეგზავნებათ უხარისხო ღვინოები. ზოგჯერ არღვევენ სამარკო და შემაგრებული ღვინოების დამუშავების ტექნოლოგიას.

ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის სამმართველომ თბილისის სავაჭრო ქსელში და საზაკვების ობიექტებში 1965 წლის მეოთხე კვარტალში სამტრესტის ღვინის 1, 3 და 4 ქარხნებს უკან დაუბრუნდა 4.639 ბოთლი ღვინო.

გარდა სამტრესტის ზოგიერთი გადაგვარებული მუშაკისა, საქმეს ცოტა ზიანს როდი აყენებენ ვაჭრობის სისტემაში მყოფი ასეთივე პირები, რომდენიც ხშირად ვაჭრობენ არა სამტრესტის მიერ გამოშვებული სასმელებით, არამედ ფალსიფიცირებულით.

თბილისის მარჯანენა ნაპირის სასადილოების ტრესტის საწყობებში აღმოჩნდა 2.600 ბოთლი ფალსიფიცირებული კონიაკი და 3.900 ბოთლი ფალსიფიცირებული ნარინჯის არაყი.

ფალსიფიცირებული სასმელები აღმოჩნდა თბილისში, ქუთაისში, წყალტუბოში, კასპში, გარდაბანში და სხვ. ცოტა როდია ტრანსპორტის მუშაკების მხრივ პროდუქციის ხელყოფისა და გაყალბების ფაქტები. მაგალითად, 1965 წელს კონიაკის ქარხნიდან ქ. ტალინში გაგზავნილი 20 ათასი ბოთლი კონიაკიდან გაქცევებელმა გააყალბა 4 ათასი ბოთლი.

1965 წლის ნოემბერში სადგურ ავჭალაში დაკავებულ იქნა ვაგონის გამცილებელი, როცა 3ას ვაგონში შეჰქონდა 285 ცარიელი ეტიკეტიანი კონიაკის ბოთლი, მასვე აღმოაჩნდა: ლუქი, ქვაბი, ნავთქურა, ძაბრი, საცობი.

აღმაშფოთებელი ფაქტებია! როგორ არ შეესაბამება ყველაფერი ეს ქართული სასმელების ინ საერთაშორისო ავტორიტეტს, რაც მან წლების მანძილზე მოიპოვა.

„ჩვენებური ხალხი, — წერდა ილია, — ძალიან თაკილობს ღვინოში ყურძნის წვენის მეტი სხვა რამემ ჩაერიოს, და ვისაც ანტიკუნტინტად სადმე გაუბედნია, ყოველივე ღონისძიებას უხმარია, არავინ შემიტყობოს, ესოდენ სირცხვილად და ცოდვად მიაჩნდა ჩვენში ყველას წმინდა ბუნებისაბან მოცემული ყურძნისა ფაფეყნიდა და ფეიფაღლა რითიმე თავისანთი და ჩარეული. ამ სიფრთხილეს ზნეობითის თვისებისას, სხვა სიფრთხილეა და შიშიც მოსდევდა...“

ყალბი ღვინის მეკეთებლებს და ყოველგვარ ფალსიფიკატორებს სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოთ, კანონის მთელი სისასტიკით უნდა დავსაჯოთ და შევაქციოთ ისეთი მორალური ატმოსფერო, ისეთი საზოგადოებრივი აზრი, რომ ყალბისმქნელებს ფეხქვეშ მიწა ეშფოდეთ. ის, ვინც ქართული ვაზის ნაყოფის დიდებულ წვენს აფუჭებს, ჩვენი ეროვნული სიამაყის შემბღალავად და ადამიანის ჯანმრთელობის მტრად უნდა მივიჩნიოთ და ასეთ დამნაშავეს სათანადო სასჯელი უნდა გამოვუტანოთ.

ეს თანაბრად ეხება ღვინის სახელმწიფო ქარხნებში მომუშავეთ, ვაჭრობის მუშაკებს და იმათ, ვისაც საკუთარი ვენახი აქვს და ფალსიფიცირებულ ღვინოს აყენებს. მედიცინის გამორჩენილი მოღვაწენი ადასტურებენ, რომ შეურყვნელი ღვინო, თუ კი ზომიერად იქნა მიღებული, ადამიანისათვის შემრგე და სასარგებლოა, ხოლო ე. წ. გაკეთებული ღვინოები ადამიანის მტერია.

ქურდ-ბაცაცები, სინდისდაქვეითებული და პირადი გამორჩენის მოტრფიალე პირები ყველგან აუტანელია, მაგრამ მათ არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეთ მეღვინეობის დარგში, რადგან. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეღვინეობაში ჩადენილი რამე უწმინდურება ეხება არა რომელიმე წარმოებას, არამედ მთელს ჩვენს ერს. მეღვინეობაში უნდა მუშაობდეს და ღვინოს უნდა აშენებდეს მხოლოდ ის კაცი, რომელსაც სუფთა ხელი და სუფთა გული აქვს. რომელიც ქართველი ერის დიდებას ყველაზე მაღლა აყენებს.

მომხმარებელთა უკმაყოფილებას იწვევს ჩვენი პროდუქციის არასრულყოფილი გაფორმება. ბოთლებზე დაშტამპული და არასწორად მიკრული ეტიკეტებია, ბოთლების ყელზე ცუდად დამაგრებულია ვისკოზის, ალუმინის და ლუქის ბეჭედები, ზოგჯერ ეტიკეტებზე აღნიშნული არ არის გამოშვების თარიღი. საუცხოო ხარისხის ქართული სასმელები საუცხოო ბოთლებში უნდა ჩამოვასხათ



და საუცხოოდ გავაფორმოთ.

რა გაკეთდება ახლა ხუთწლედში?

მთავარი ყურადღება მიექცევა შამპანურის, ღვინის, კონიაკისა და სხვა ქართული სასმელების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

1966-1970 წლებში სამტრესტს დასახული აქვს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი წარმოებაში ახალი ტექნიკის და ტექნოლოგიის დანერგვისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვისათვის. ეს ხელს შეეგიწყობს იმაში, რომ სამტრესტის საწარმოები ავიყვანოთ მაღალ ტექნიკურ დონეზე, საშუალება გვექნება შევეგებ სანიმუშო-საჩვენებელი საწარმოები, ავამაღლოთ ქართული ღვინის, შამპანურისა და კონიაკის ხარისხი, მივაღწიოთ უკეთეს საწარმოო და კონომიურ მაჩვენებლებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სამტრესტის ზეთ დასახულია მრავალი ღონისძიება, რომელთა განხორციელება უ

ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲡ, ᲛᲐᲛᲐᲪ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲡ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲗᲗᲐ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲜᲐ. ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: კოსმონავტები (მარცხნიდან მარჯვნივ) ანდრიან ნიკოლაევი, იური გაგარინი და ვალერი ბიკოვსკი მეცადინეობენ რაკეტის მოძრაობის პარამეტრების განსაზღვრაში.

ფოტო ვ. ჩერედნიცეევისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

სულ უფრო მაღლა, ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔᲜ!

საბჭოთა ხალხი ზეიმობს კოსმონავტიკის დღეს, აღნიშნავს 5 წლისთავს მას შემდეგ, რაც კოსმოსურ სივრცეში გაფრინდა პირველი ადამიანი ი. ა. გაგარინი. ამ დღეებში ხალხი პატივისცემით იხსენიებს საბჭოთა მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, მათ შორის ამას წინათ გარდაცვლილ აკადემიკოს სერგი პავლეს ძე კოროლიოვს.

ჩვენ, ეურნალისტები, არა ერთხელ შევხვედრივართ მას, ხშირად გვისაუბრია, გვინახავს, თუ როგორ მუშაობდა იგი კოსმოსური სამეცნიერო ექსპერიმენტების მზადებისა და მოწყობის დღეებში. დაუცხრომელ ოპტიმისტს, მას არასოდეს არ დაუკარგავს იმედი, რომ დადგება დღე, როცა თვითონაც შეძლებს გაფრინდეს კოსმოსურ სივრცეში.

ერთ-ერთი საუბარი სერგი პავლეს ძე კოროლიოვთან ორ საათზე მეტხანს გრძელდებოდა და ეხებოდა კოსმონავტიკის განვითარების, ჩამოყალიბების ბევრ საკითხს, მის პერსპექტივებს.

აი ამ საუბრის ოდნავ შემოკლებული ჩანაწერი.

ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ს. პ. ᲙᲝᲠᲝᲚᲘᲝᲕᲗᲐᲜ — ᲠᲐ�კᲔᲢᲣᲚ-ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲣᲓᲘᲓᲔᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ.

◆

— ᲩᲕᲔᲜᲘ საუბარი თქვენი დღიურის მორიგი ფურცელია? — მეკითხება მეცნიერი.

— არ დაგფარავ. თუ შეიძლება მიამბეთ რამე თქვენს შესახებ, ვთხოვ მე.

— ნუ დაგავიწყდებათ: ყველაფერი, რაც გაკეთდა, კეთდება და გაკეთდება მატარებელი რაკეტების, კოსმოსური ხომალდების შესაქმნელად, კოსმონავტების მოსამზადებლად, ეს მეცნიერთა, კონსტრუქტორების მნიშვნელოვანი ჯგუფის, ნამდვილად ნიჭიერი ადამიანების, მთელი კოლექტივების შრომის შედეგია.

— კეთილი.

— უნდა გიამბოთ მრავალი ათეული ადამიანის, მრავალი ათეული მეცნიერის შესახებ, რომლებიც ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა პარტიამ აღზარდეს, მტკიცედ, გადაჭრით მეუბნება მეცნიერი.

— იქნებ თქვენგან დაგიწყოთ? — იმედით ვთხოვ მე.

ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა. მე რაღაც უსერიოზულ მდგომარეობაში ჩავვარდი. მეცნიერს ხომ მისთვის ესოდენ ძვირფას დროს ვართმევდი. დიდი საფერი მაგიდის მახლობლად პატარა მაგიდაზე მდგარ სატელეფონო პულტზე წამადაუწუმ ინთებოდა და ქრებოდა სინათლე.

— რაღას ვდგევართ, — როგორც იქნა თქვა სერგი კოროლიოვმა, — მოდით დავსხდეთ, — მან გულთბილად შემომხედა. — ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მოგონებაა, — დაიწყო მან, — შეხვედრა კონსტანტინე ედუარდის ძე ციოლკოვსკისთან...

... 1929 წელი იყო. იმსანად რაღაც 24-ოდე წელი შემისრულდა, მაშინ მეგობრებთან ერთად გატაცებული ვიყავი თვითმფრინავმშენებლობით, ვმუშაობდი პატარა საკუთარ კონსტრუქციებზე, წინა წლები აღსავსეა მნიშვნელოვანი ფაქტებით. ისინი სამუდამოდ ჩამრჩა შეხსიერებაში. მოგიგონოთ არც თუ ისე შორეული წარსული. 1924 წელს ნ. ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო ფლოტის აკადემიის მსმენელთა ჯგუფმა, სწორედ იმ აკადემიისა, სადაც ახლა კოსმონავტები სწავლობენ, დაარსა საქალაქთაშორისო მიმოსვლის სექცია. მაშინ განხორციელდა პირველი ცდა, გაკვეთილთანეკნინა ციოლკოვსკის იმ იდეის მომხრენი, რომ რაკეტა გამოყენებულიყო აპარატად, რომელსაც შეეძლებოდა კოსმოსში გაფრენა.

სერგი პავლეს ძე ცოტახნით დადუმდა, მაგიდას დაეყრდნო და ჩაფიქრდა, როგორც ჩანს, იგი იგონებდა იმ წლებს, თავის ეხუნჯისაკენ ამხსნაგებს, რომელთაგან ახლა ბევრი თვალსაჩინო მეცნიერია, თანამშრომლობს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრების, კოსმოსური ხომალდების, მთელი რაკეტულ-კოსმოსური სისტემების შექმნაში.

კაცმა რომ თქვას, სწორედ ციოლკოვსკისთან შეხვედრის შემდეგ დავიწყეთ ჩვენ ამ ჩემმა მეგობრებმა აქტიური მუშაობა და რაღაც პრაქტიკული ცდებიც კი განვახორციელეთ.

— თუ შეიძლება მიამბეთ ამ ცდების შესახებ.

— როგორც ცნობილია, კოსმოსური რაკეტებისათვის ენერგიის წყაროა რაკეტული ძრავები, ძირითადად თხევადი საწვავით მომუშავე რაკეტული ძრავები. ჩვენი კვლევა უშინარეს ყოველისა სწორედ ამ მიმართულებით წარმოდგა. ჩვენ გვჭირდებოდა სათბობი, რომელსაც შეეძლო იმდენი ენერგიის გამომუშავება, რომ რაკეტა მოგვეწყვიტა დედამიწისაგან, ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, დაგვეძლია დედამიწის მიზიდულობის ძალა და რაკეტა ორბიტაზე გაგვეყვანა. უნდა ითქვას, რომ თხევადი საწვავით მომუშავე რაკეტული ძრავის შექმნის იდეა მთლიანად ჩვენს დიდ თანამემამულეს კ. ე. ციოლკოვსკის ეკუთვნის, რამდენად აინტერესებდათ მაშინ საზღვარგარეთელ მეცნიერებს რაკეტული ძრავების შექმნის პრობლემები?

— რაკეტული ძრავების შექმნის იდეა ბევრ მეცნიერს აფიქრებდა ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც. მაგრამ ამ საქმეს პირველი ძირითადი ბიძგი მისცა კონსტანტინე ციოლკოვსკიმ. 20-30-იან წლებში ცდებს აწარმოებდნენ გერმანელი მეცნიერი გ. ობერტი, ამერიკელი პროფესორი რ. ჯოდარდი და სხვები.

— ჩვენც, ახალგაზრდებიც ვეზიარებოდით ჩვენს მეზობლებს. პირველად ექსპერიმენტებს ვაწარმოებდით მოსკოვში, სადოვო-სპასკის ქუჩაზე სარდაფში. 1933 წლის 17 აგვისტო ეოთობ ღირსშესანიშნავი თარიღია. ამ დღეს გაუშვეს ს. კ. ტიხონრავოვი კონსტრუქციის თხევადი საწვავით მომუშავე პირველი საბჭოთა რაკეტა. ამ წარმატებამ რწმენა ჩაგვინერგა საკუთარი ძალებისადმი.

— თქვენს პრაქტიკულ მუშაობას საფუძვლად ციოლკოვსკის თეორია ედო?

— დიახ, სწორედ ასე. თეორიას ჩვენ ვიყენებდით, მაგრამ შემოქმედებითად, მასში შეგვჰქონდა ბევრი საკუთარი, რაც ბუნებრივია ასეთი ახალი საქმისათვის. პრაქტიკა აფართოებდა ჩვენს ჰორიზონტს, აზუსტებდა ჩვენს გეგმებს, ბადებდა ახალ იდეებს. ასე იხვეწებოდა თეორია. 1933 წელს ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა პირველი რეაქტიული ძრავების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, რომელშიც გაერთიანდნენ ორი ქალაქის მოსკოვისა და ლენინგრადის სარაკეტო საქმის ენთუზიასტები. დაიწყო სამამულო რაკეტმშენებლობის განვითარების ახალი ეტაპი.

მტკიცედებოდა, ძალებს იკრებდა საბჭოთა სახელმწიფო, მშრომელთა ენთუზიაზმს საზღვარი არ ქონდა.

1940 წლის თებერვალში ჩვენს ქვეყანაში მოეწყო თხევადსაწვავიანი რაკეტული ძრავით აღჭურვილი პირველი პლანერის საფრენი გამოცდა. ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი შედეგი, პირველი ნაბიჯი იყო რეაქტიული ავიაციის განვითარებაში. ამ გაფრენამდე ამისთანა ცდა მსოფლიო პრაქტიკას ჯერ არ ახსოვდა. მან გარკვეული დადებითი გავლენა მოახდინა რაკეტული ძრავებით აღჭურვილი აპარატების შემდგომ გაფრენებზე. დიდი სამამულო ომის წლებში, 1942 წელს შესაძლებელი გახდა ცაში აგვეყვანა თხევადი საწვავით მომუშავე რეაქტიული ძრავით აღჭურვილი პირველი თვითმფრინავი. თქვენ განსახავთ ფილმი „მათ ემორჩილება ცა“?

— დიახ, მეტად საინტერესო ფილმია.

— უნდა ითქვას, რომ ამ ფილმში არის დოკუმენტური კადრები ცნობილი გამომცდელი მფრინავის გრიგოლ ბახჩივანჯის შესახებ, ადამიანის შესახებ, რომელიც პირველი გაფრინდა რეაქტიული თვითმფრინავით. აღსრულდა ციოლკოვსკის წინასწარმეტყველური სიტყვები: „ხრახნიანი აეროპლანების ერას უნდა მოაკვეს რეაქტიული აეროპლანების ან სტრატოსფეროს აეროპლანების ერა“.

— ხომ ვერ მიამბობდით თქვენი ცხოვრების შესახებ, — ვთხოვე მე, როცა საუბრის დასაწყისში დასმულ პირველ კითხვას დაგუბრუნდი.

— ვფიქრობ, რომ ისედაც ბევრი რამ გიამბეთ, შეიძლება უფრო მეტიც, ვიდრე საჭირო იყო, — გამიღიმა მეცნიერმა, — როგორც ჩანს, თქვენს კითხვას თავს ვერ დავაღწევ. როგორც გენებათ, — თქვა ბოლოდროს, — გიამბობთ, მაგრამ მეტად მოკლედ. დავიბადე უკრაინაში 1906 წელს, მასწავლებლის ოჯახში, მამა გარდაიცვალა. მზრდელნენ დედა და მამინაცვალი, ერთი მასწავლებელი, მეორე ინჟინერი. ამჟამად დედაჩემი პენსიონერია. საშუალო ზოგადი განათლება ამთავრეთვე ვერ მივიღე — საამისო პირობები არ იყო. დავამთავრე ორწლიანი პროფესიული საამქროების სკოლა, ვმუშაობდი ფურგლად. მერე სახლებს ვიზურავდით კრამიტით. შემდეგ ჩარხთან დავიწყე მუშაობა. ჩემი შრომითი სტაჟი თექვსმეტი წლიდან დაიწყო. ვოლენბობდი უმაღლეს განათლებაზე. ოცნება ამიხდა...

დიდი გულისყურით ვუსმენ მეცნიერის ნამბობს ბაუმანის სახელობის უმაღლეს-ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის შესახებ, შესანიშნავი პედაგოგების შესახებ, ამის შესახებ, რომ სწორედ სასწავლებელში გაიგო მან პირველად, რომ არის საპლანეტათშორისო მიმოსვლის საზოგადოება, ისმენდა კოსმოსის ათვისების ენთუზიასტთა ლექციებს. კაცობრიობა განახორციელებს ციოლკოვსკის ოცნებას მთელი მზისახლო სივრცის დასახლების შესახებ. ერთ-ერთი უახლოესი ამოცანა კვლავ არის ადამიანის გადასმა მთვარეზე. როგორ განხორციელდება ეს განზრახვა — საბოლოოდ ამის თქმა ძნელია. შესაძლოა, თავდაპირველად დედამიწის გარშემო დაიწყებს ფრენას ორბიტული სადგური — კოსმოსური ხომალდების მისადგომი, მარშრუტით: „დედამიწა — ორბიტული სადგური — მთვარე“, „მთვარე — ორბიტული სადგური — დედამიწა“. ხომალდ „ვოსტოკით“ იმოგზაურეს კოსმონავტებმა, რომელთაგან თითოეული იყო ერთსა და იმავე დროს მგზავრიც, ხომალდის მეფურეც, მეცნიერ-მკვლევარიც. ჩვენ ვუახლოვდებით იმ ოცნების განხორციელებას, რომ კოსმოსში იფრენენ უფრო დიდი ტვირთამბრუნავი ხომალდები.

— რა პრაქტიკულ სარგებლობას მოუტანს კაცობრიობას კოსმოსის ათვისება?

— დიდ სარგებლობას. უშინარეს ყოვლისა, კოსმოსური ხომალდები ტრანსპორტის დიდებული საშუალება იქნება. მოსკოვიდან ნიუიორკამდე გზას სტარტთან და დაშვებასთან ერთად მოუნდება სულ 1,5-2 საათი, ნაცვლად 11 საათისა. შეიძლება ფოსტის გადაზიდვა: წერილების, ამანათების და ტკვრთისაც კი.

— ხოლო ადამიანის?

— რა თქმა უნდა, ადამიანის გადაყვანაც.

— მერე უშონობა?

ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მის წარმატებით გადაჭრაზე დამოკიდებულია მთელი კოსმონავტიკის ბედი. მისი გადაწყვეტა ადამიანის ორგანიზმზე ჯერ სრულად შესაწავლილი როდია. მაგრამ შეიძლება ჩვენ შევქმნათ ხომალდებში დროებითი „ხელოვნური სიმძიმე“. შესაძლოა, ამ ღონისძიებამ ბევრი რამ მოგვცეს.

— ბოდიში, მინდა დავაზუსტო, თქვენ შეეხეთ მთვარეზე ადამიანის გადასმას. როგორია ამ ნავარაუდევი ექსპერიმენტის მეცნიერული მნიშვნელობა?

— უშინარეს ყოვლისა, მთვარეზე გავიყვანთ სპეციალურ ავტომატ-ლაბორატორიებს. რაც შეიძლება მეტი უნდა ვიცოდეთ ბუნებრივი თანამგზავრის შესახებ, რათა გადავწყვეტილთ მთვარეზე ადამიანის გადასმასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტექნიკური საკითხი. ეს უკვე იყო ნათქვამი: მთვარე გახდება შუალედური სასტარტო მოედანი ხმლის სისტემის პლანეტების გამოსაკვლევად. მთვარეზე შეიძლება შევქმნათ ტექნიკის, საწვავის საქირო მარაგი, ერთი სიტყვით ყოველივე იმის მარაგი, რაც აუცილებელია, რათა ზედმიწევნით მომზადდეს გაფრენა, მაგალითად, მარსზე.

უკანასკნელი კითხვა. როგორ დააფორმუალებდით თქვენს მეცნიერულ მიზნებს?

— 40 წლის წინათ მე ვოცნებობდი მეფრინაკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავებით. ხოლო შვიდი წლის შემდეგ, კ. ე. ციოლკოვსკისთან შეხვედრის შემდეგ, გადავწყვიტე მეშენებინა ხმოლოდ რაკეტები: ეს გახდა მთელი ჩემი ცხოვრების აზრი. ჩვენი დევიზია: „სულ უფრო მაღლა — ვარსკვლავებისაკენ!“

— არ შეიძლება მიჩვენოთ თქვენი პირველი ნაწილი? — ვთხოვე მე.

— რატომაც არა. — მეცნიერმა მეორე ოთახის კარადიდან გამოიღო პატარა ნაწილი, რომელიც თითქმის 30 წლისაა.

— თქვენ ეს ნაწილი არ გიფიქიაგენიოთ კონსტანტინე ედუარდის-ძისათვის?

— გავუგზავნე. მართალია, არ აღმინიშნავს ჩემი მისამართი.

— დიახ, კონსტრუქტორის სწორედ ამ პირველი ნაწილის შესახებ წერდა ციოლკოვსკი: „ბონივრული, შინაარსიანი, სასარგებლო წიგნია“.

— ასე თუ ისე მაინც დავამთავროთ ჩვენი გაჭიანურებული საუბარი, — შემომთავაზა აკადემიკოსმა კოროლიოვმა. — დასასრულ მე მინდა ვთქვა შემდეგი: ის, რასაც ჩვენ მივაღწიეთ კოსმოსის ათვისებაში, ცალკეულ ადამიანთა დამსახურება როდია. ეს არის მთელი ხალხის დამსახურება, ჩვენი პარტიის, ლენინის პარტიის დამსახურება.

* * *

ეს საუბარი სერგი პავლეს-ძე კოროლიოვთან მქონდა 1963 წლის 30 ნოემბერს. მაგრამ მაშინ მან არ მომცა თანხმობა პრესაში გამომქვეყნებინა იგი. გადაათვალიერა რა საუბრის ტექსტი, სერგი პავლეს-ძემ პირველ გვერდზე წაიწერა:

„ᲓᲐᲕ ᲘᲡ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲘᲡ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲣᲛᲝᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡᲐ. ᲛᲔ ᲘᲡ ᲡᲢᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲠᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲗᲘᲚᲘᲗ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲛᲝᲛᲐᲒᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲣᲚᲔᲓᲘᲗᲘ ᲞᲚᲔᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲦᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲒᲘᲠᲩᲔᲕᲗ ᲛᲐᲗᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲬᲔᲠᲔᲑᲘᲗ“.

ᲘᲛ ᲓᲦᲔᲓᲐᲜ ᲗᲘᲗᲘᲛᲪᲘᲚᲘ ᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘᲐᲠᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ გავიდა. მოეწყო კიდევ რამდენიმე შესვედრა რაკეტულ-კოსმოსური სისტემების კონსტრუქტორთან. ბევრი რამ, რაც მეცნიერმა მიამბო ღირსსახსოვარ ნოემბრის დღეს, განხორციელებულია. შეიქმნა და ფრენის პირობებში შემოწმდა პირველი მრავალადგილიანი ხომალდი „ვოსხოდი“, განხორციელდა ადამიანის გამოსვლა ხომალდის ფარგლებიდან კოსმოსურ სივრცეში. ავტომატური სადგური „ლუნა-9“ ნარნარად დაეშვა მთვარის ზედაპირზე და გადმოსცა დედამიწაზე მისი რელიეფის უნიკალური ფოტოსურათები, ღამის მნათობის გარშემო ორბიტაზე დაფრინავს „ლუნა-10“, უფრო მოგვიახლოვდნენ ვენერა და მარსი. და ყველა ამ და ბევრ სხვა საქმეში მთელი ძალით გამოვლინდა ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, ლენინური პრემიის ლაურეატის სერგი პავლეს-ძე კოროლიოვის მძლავრი ტალანტი.

Ა. ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲘ.

ᲡᲐᲤᲔᲮᲣᲠᲔᲑᲘ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘᲡᲐᲙᲔᲜ

△ **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** ადამიანი, რომელმაც კოსმოსური ხომალდით შემოუფრინა დედამიწას, არის საბჭოთა კოსმონავტი მაიორი იური ალექსის-ძე გაგარინი. ეს იყო 1961 წელს 12 აპრილს.

△ **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** ქალი, რომელიც მართავდა კოსმოსურ ხომალდს, არის საბჭოთა კოსმონავტი ვალენტინა ვლადიმერის ასული ტერეშკოვა. ეს ფრენა მოხდა 1963 წლის 16 ივნისს.

△ **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** ადამიანი, რომელიც სკაფანდრით გავიდა კოსმოსური ხომალდის კაბინიდან ღია კოსმოსში და კვლავ დაბრუნდა ხომალდში, არის საბჭოთა კოსმონავტი პოპოვოვიჩი ალექსი არქიპოს-ძე ლეონოვი. ეს მოხდა 1965 წლის 18 მარტს.

△ **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** ჯგუფური ფრენა კოსმოსური ხომალდებით განხორციელდა საბჭოთა კავშირში. ეს მოხდა 1963 წლის 16 ივნისს კოსმოსური ხომალდებით—„ვოსტოკ-5“ და „ვოსტოკ-6“-ით, რომელებსაც მართავდნენ ვ. ბიკოვსკი და ვ. ტერეშკოვა.

△ **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** რბილად დაჯდომა მთვარეზე განხორციელდა საბჭოთა ავტომატური სადგურით „ლუნა-9“-ით 1966 წლის 3 თებერვალს.

△ **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** აბსოლუტური მსოფლიო რეკორდები კოსმოსური ფრენის ხანგრძლივობაში, დედამიწის გარშემო შემოფრენათა რაოდენობაში, უშუალოდ კოსმოსურ სივრცეში ხომალდის გარეთ ადამიანის ფრენის ხანგრძლივობასა და მანძილში ეკუთვნით საბჭოთა კოსმონავტებს.

△ **ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ** მეცნიერული ექსპედიცია კოსმოსში განახორციელეს საბჭოთა კოსმონავტებმა ვ. კომაროვმა, კ. ფეოკტისტოვმა და ბ. ეგოროვმა მრავალადგილიან ხომალდ „ვოსხოდით“. ეს მოხდა 1964 წლის 12 ოქტომბერს.

ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲒᲘᲢᲐᲖᲔ

1966 ᲬᲚᲘᲡ 3 აპრილს მთვარის ხელოვნური თანამგზავრის ორბიტაზე გაიყვანეს ავტომატური სადგური „ლუნა-10“, მსოფლიოში მთვარის პირველი ხელოვნური თანამგზავრის შექმნით დაიწყო მთვარისა და მთვარისახლო კოსმოსური სივრცის ფიზიკურ თვისებათა უშუალო შესწავლა.

ᲡᲐᲓᲒᲣᲠ „ᲚᲣᲜᲐ-10“-ᲘᲡ ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

◆

სადგურ „ლუნა-10“-ზე დადგმულია შემდეგი სამეცნიერო აპარატურა:

— სამკომპონენტიანი მაგნეტომეტრი მთვარის შესაძლო მაგნეტიური ველის ძალის ზღვრის დასაზუსტებლად;

— გამა-სპექტრომეტრი მთვარის ზედაპირის გამა-გამოსხივების ინტენსიურობისა და სპექტრის შემადგენლობის გამოსაკვლევად;

— აღმრიცხველები მზის კორპუსკულარული და კოსმოსიური გამოსხივების აღრიცხვისათვის, აგრეთვე რბილი ელექტრონების კვლევისათვის, რათა აღმოვაჩინოთ მთვარის ionosფერო და შევიხსნაოთ მთვარის ორბიტასთან დედამიწის მაგნეტოსფეროს „კუდის“ დამუხტული ნაწილაკები.

— ionის საჭერები მზის ქარის ionებისა და ელექტრონების მთლიანი ნაკადის რეგისტრაციისა და მთვარის ionოსფეროს საძებნელად;

— პიეზოელექტროგადამწოდები საკოსმოთაშორისო და მთვარისახლო სივრცეში მეტეორთა ნაწილაკების აღრიცხვისათვის, რომელთა მასა გრამის ასმილიონოდს აღემატება;

— ინფრაწითელი გადამწოდი მთვარის ინფრაწითელი თბოგამოსხივების განსაზღვრისათვის;

— რბილი რენტგენული ფოტონების აღმრიცხველები მთვარის ზედაპირის ქიმიის რენტგენული ფლუორესცენტური გამოსხივების გასაზომად;

როგორც ცნობილია, 1959 წელს საბჭოთა კოსმოსური რაკეტის „ლუნა-2“-ის საშუალებით ნაჩვენები იყო, რომ მთვარის მაგნეტიური ველის სიდიდე არ აღემატება დედამიწის მაგნეტიური ველის ერთ მეათასედს. ეს იყო მთვარის მაგნეტიურ თვისებათა პირველი ექსპერიმენტული კვლევა.

სადგურ „ლუნა-10“-ზე დადგმული მაგნეტომეტრის გრძნობიერება თხუთმეტჯერ აღემატება „ლუნა-2“-ის მაგნეტომეტრის გრძნობიერებას. ეს საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად განვსაზღვროთ მთვარისახლო მაგნეტიური ველის დაძაბულობის სიდიდე.

ასევე განხორციელებულ გაზომვათა წინასწარმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ 5 აპრილს მაგნეტიური ველის დაძაბულობა 15-20 გამის ფარგლებში იყო და ნაკლებად იცვლებოდა ორბიტის სხვადასხვა წერტილში.

მთვარის ველის დაძაბულობის გაზომილი მნიშვნელობანი რამდენადმე აღემატება მაგნეტიური ველების დონეს თვითსუფთა საალანეტათშორისო სივრცეში მაგნეტიურად მშვიდ დროს. მაგრამ ჯერ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ეს დაკავშირებულია მთვარის საკუთარი მაგნეტიური ველის არსებობასთან.

როგორც ცნობილია, მზისგან მოდის ნაწილაკების განუწყვეტელი ნაკადი — „მზის ქარი“. მზის ქარისა და დედამიწის მაგნეტიური ველის ურთიერთქმედების შედეგად, დედამიწის მაგნეტიური ველი მნიშვნელოვან დეფორმაციას განიცდის და მისი ძალაზეები მზის საწინააღმდეგო მხარეს იქმნება და ქმნის დედამიწის ეგრეთწოდებულ მაგნეტიურ კუდს.

თუ დედამიწის მაგნეტიური კუდი მთვარის ორბიტამდე აღწევს, პირველი გაზომვების დროს სადგური „ლუნა-10“ დედამიწის მაგნეტიური კუდის შიგნით მოექცა და შესაძლოა ამით იყო განპირობებული მაგნეტიური ველის დაძაბულობის გაზრდილი სიდიდე. მომავალში მთვარე გამოვა მაგნეტიური კუდის საერთოდან. მაგნეტიური კუდის გარეთ გაზომვები შესაძლებლობას მოგვცემს გადავჭრათ საკითხი, რითია გამოწვეული მაგნეტიური ველის დაძაბულობის ცვლილებანი — მთვარის მაგნეტიური ველით თუ დედამიწის მაგნეტიური კუდით.

დამუხტული ნაწილაკების საჭერების საშუალებით შესრულებულ გაზომვათა პირველი შედეგების გაცნობა საშუალებას გვაძლევს წინასწარ გამოვიტანოთ დასკვნა, რომ დედამიწასა და მთვარეს შორის ურენის მონაკვეთებზე და მთვარის თანამგზავრის ორბიტაზე აღრიცხული იყო როგორც უარყოფითი, ისე დადებითი ნაწილაკების ნაკადები (მათ შორის მცირე ენერგიების დადებითი ionებიც).

კოსმოსური გამოსხივების აღმრიცხველებმა აღრიცხეს კოსმოსური ფონი დედამიწასა და მთვარეს შორის. ამჟამად კოსმოსური ფონი რამდენადმე ამაღლებულია (5 ნაწილაკი ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე წამში), როგორც ეს მოსალოდნელი იყო მზის მინიმალური აქტიურობის პერიოდში.

მთვარის ორბიტაზე მიღებულია მონაცემები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც მთვარისახლო სივრცეში ათიათასობით ელექტრონვოლტი ენერგიის ელექტრონთა ნაკადების არსებობა.

ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲠᲝᲒᲘᲢᲐᲖᲔ ᲛᲘᲛᲦᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 11 აპრილი. (საკადესი). დღეს დილით ქალაქ მაცუსიროს რაიონში — იაპონიის ხონსიუს კუნძულის ცენტრალურ ნაწილში მოხდა მიწისძვრა. ერთ საათს გრძელდებოდა ძლიერი მიწისქვეშა ბიძგები, რომელთაგან შვიდბალიანი სისტემით ოთხი ბიძგის ძალა 5 ბალს აღწევდა. ამ დროს შეწყდა რკინიგზის მოძრაობა.

მიწისძვრამ დაანგრია რამდენიმე სახლი, დააზიანა კავშირგაბმულობის ხაზები და ელექტრული ენერგიის ხაზები. ადამიანთა მსხვერპლი ან დაჭრილთა ცნობა ჯერ არ მოსულა.

ᲒᲣᲓᲘᲡᲮᲗᲐ ᲛᲝᲗᲮᲝᲚᲕᲜᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 11 აპრილი. (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, გუშინ საიგონში გაიმართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც ვიეტნამელ ბუდისტთა მოძრაობის კომიტეტმა, რომელიც ახლახან შეიქმნა, მთავრობას მოსთხოვა ყველა პატიმრის განთავისუფლება და ყოველგვარი რეპრესიების გაუქმება მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობაში მონაწილეობისთვის. წინააღმდეგ, 4-6 თვის შემდეგ არჩევითი დამფუძნებელი კრების შექმნა და მთელი ჯარების გაყვანა დანანგიდან.

ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲓ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 11 აპრილი (საკადესი). ვიეტნამის ომის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ახალგაზრდა ამერიკელმა თეთრი სახლის წინ ბენზინი გადაისხა და თავის დაწვა აპირებდა.

პოლიციელებმა ჭაბუკს მიუსწრეს და გადაარჩინეს. პოლიციის ცნობით ჭაბუკს ჰქვია არტურ ზინერი, იგი 20 წლისაა, სწავლობს ბოსტონის უნივერსიტეტში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲬᲐᲠᲣᲛᲐᲢᲔᲒᲚᲝᲒᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 11 აპრილი. (საკადესი). ამერიკელ პრესის სააგენტო იტყობინება, რომ გუშინ ორბიტული ასტრონომიული ობსერვატორია, რომელიც 8 მარტს გაუშვეს კენედის კოსმოდრომიდან დედამიწისირგვლივ წრიულ ორბიტაზე, დადუმდა და შეწყვიტა დედამიწაზე ინფორმაციის გადმოცემა“.

ᲐᲔᲠᲝᲜᲐᲕᲢᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠᲘ ᲡᲘᲠᲪᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲗᲐ ᲙᲝᲡᲛᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲓᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲐᲒᲠᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 11 აპრილი. (საკადესი). რეიტერის სააგენტოს სეულელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ პუსანის ნავსადგურიდან 5 ათასი სამხრეთკორეელი ჯარისკაცი გაემგზავრა სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის სამხედრო-საზღვაო ტრანსპორტით.

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 10 აპრილი. (საკადესი). თურქეთში დამთავრდა საქართველოს ხალხური ეროვნული სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გასტროლები სსრ კავშირის სახალხო არტისტების ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. ქართველმა მოცეკვავეებმა თურქეთში გამართეს 44 კონცერტი, აქედან 22 სტამბოლში, 7 იზმირში და 15 ანკარაში

ექვემბრიების საღამო

მოსკოვი. 11 აპრილი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). გუშინ აქ ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში გაიმართა ქართული პოეზიისა და ხელოვნების დიდი საღამო. საღამოს პრეზიდიუმში იყვნენ ქართველი და რუსი მწერლები, კრიტიკოსები, მხატვრები: ნ. ტიხონოვი, ა. ანტონოვსკაია, ს. მიხალკოვი, ბ. ჩორნი, ი. აბაშიძე, ი. ნონეშვილი, გ. მდივანი, მ. ქვლივიძე, ი. ოსიფური, გ. გაბაშვილი, კ. გურული, დ. ყიფშიძე, ს. სულხანიშვილი, ე. ბაბლიძე, ო. ბელიაშვილი, გ. ფაჩუაშვილი, რ. იაშვილი, რ. მეტრეველი, ინგლისელი ლიტერატორი ჰ. მარშალი და სხვები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ნ. ტიხონოვმა.

— თქვენ ალბათ შეამჩნიეთ, — თქვა მან, — რომ ბოსაღმდეგ ბარათზე გამოსახულია შოთა რუსთაველი. დიახ, დღეიანდელ შეკრებას ჩვენ მივუძღვნით გენიალური ქართველი პოეტის დაბადების 800 წლისთავს. სექტემბერში, როცა დიდი საიუბილეო ზეიმი გიმართავთ, ჩვენ ყველანი ვეწვევით საქართველოს და ერთხელ კიდევ პატივს ვცემთ რუსთაველის სიდიადეს. ქართველი და რუსი ხალხების და მწერლობის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას სიყვარულით ავრძელებენ თანამედროვე ქართველი და რუსი პოეტები. ქართული პოეზიისა და პროზის თვალმარგალიტებს რუსულ ენაზე თარგმნიან მხატვრული სიტყვის განოჩენილი ოსტატები.

თქვენ ალბათ უკვე გაეცანით ქართული პუდური და ეროვნული ხელოვნებიდან. ქართველ ხელოვანთა ნაშუშერების ეს ექსპოზიცია მიდის იუგოსლავიასა და საფრანგეთში, სადაც. დარწმუნებული ვარ, მრავალ მეგობარსა და დამფასებელს შეიძენსო.

საღამოს მონაწილეებმა მოისმინეს ფირზე ჩაწერილი ქართული ხალხური სმენერები, ხოლო დასასრულ ნახეს მოკლემეტრაჟიანი ფილმები „ფიროსმანი“, „ლადო გუდიაშვილი“ და „ძველი ქართული ოქრომჭედლობა“.

ც. ყიფიანი.

„მე თოლია ვარ“

იარუსლავლი, 11 აპრილი. (საკავშირო კორ.). დღეს, კოსმონავტიკის დღის წინ იარუსლავლის პოლიგრაფიულმა კომბინატმა დაამთავრა წიგნის „მე თოლია ვარ“ პირველი პარტიის ბეჭდვა. წიგნში ასახულია საბჭოთა კავშირის გმირის, კოსმონავტ ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვას ცხოვრება და საქმიანობა. წიგნი მოამზადეს იარუსლავლელმა ლიტერატურებმა და გამოუშვა საოლქო წიგნის გამომცემლობამ. იგი ლამაზადაა გაფორმებული და ქარგადაა ილუსტრირებული ამეიათი ფოტოსურათებითა და ფერადი ჩანართებით.

ახალი დადგმა

ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის ქართულმა დასმა მორიგ პრემიერად წარმოადგინა ალ. ყურულის „პროკურორის ქალიშვილი“.

სპექტაკლი, რომელიც სკკპ XXIII ყრილობას მიეძღვნა, დადგა რეჟისორმა მ. დანიელაშვილმა. მხატვრობა ეკუთვნის ვ. ცერაძეს, მუსიკალური გაფორმება — ო. ჩოჩიევს, ქორეოგრაფია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ხ. გაგლოევი.

ო. ესიასშვილი.

ხრესილში მოვიდა ამანათი

ტყიბული. (საკ. კორ.). ხრესილის საშუალო სკოლის პიონერებს მეგობრული ურთიერთობა აქვთ ქ. ტომსკის სკოლა-ინტერნატის პიონერებთან.

ამ დღეებში ხრესილში მოვიდა ამანათი, რომელშიც აღმოჩნდა ტომსკელი პიონერების ხელით შესრულებული ნახატები ქართულ თემებზე.

ხრესილელებმა თავიანთ ციმბირელ მეგობრებს გაუგზავნეს საპასუხო წერილი და დასურათებული წიგნი „თბილისი“.

თევზსაშენი

წყალტუბო. (საკ. კორ.). საქართველოს თევზის მრეწველობის ტრესტმა სოფელ მაღლაკის ტერიტორიაზე მოაწყო ახალი თევზსაშენი. ხელოვნური გუბრეა, რომელიც სამი განყოფილებისაგან შედგება, 50 ჰექტარზეა გადაჭიმული. აქ მოაშენეს სარკისებრი კობრი.

მაღლაკის თევზსაშენი ხუთწლედის პირველ წელს ათასამდე ცენტნერ თევზს მიაწვდის კურორტ წყალტუბოს სანატორიუმებს.



ივრის დიდება

ქალაქში ხშირად გაიგონებთ: ჰაი დედასა, ჩვენი მიწები სარწყავი რომ იყოს, მოსავალი მაშინ იკითხეთო.

მშრომელთა ეს ოცნება ხორცს შეისხამს მიმდინარე ხუთწლედში. კახეთის ნოყიერი ველები გასარწყავდება და მაშინ ერთიორად იმრავლებს ყურძნისა და ხეხილის, ხორბლისა და სიმინდის, მზესუმზირასა და კარტოფილის მოსავალი.

ხუთწლედში ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან საირიგაციო ობიექტს ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა წარმოადგენს. მისი პირველი რიგის სამუშაოები ითვალისწინებს 41 ათასი ჰექტარი ფართობის გასარწყავებას.

მომდინარე ხუთწლედში გათვალისწინებულია მთლიანად დამთავრდეს ქვედა სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა. მისი რეკონსტრუქციის შემდეგ უხვი მოსავლის სამსახურში ჩადგება გარეკახეთის 27 ათასი ჰექტარი და 11 ათასი რეკონსტრუირებული სარწყავი ფართობები.

— მარტო საგარეჯოს რაიონში, — გვითხრა საგარეჯოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ არ. დავითაშვილმა 23 ათასი ჰექტარი გვალვისაგან გამოფტული მიწები გასარწყავდება. საგარეჯოელი მხვნელ-მთესველებმა უკვე იზეიმეს სარწყავი წყლის მოღება. ქვემო სამგორის სარწყავი სისტემიდან სოფლების ნინოწმინდის, გიორგიწმინდის კოლმეურნეობებისა და საგარეჯოს საბჭოთა მეურნეობის ნათესები უკვე ირწყვება.

არაფერი სჯობს ახლა ნინოწმინდის საკოლმეურნეო მინდვრებში გავლას. ტანი აუყრია, ამბინებულა წყლით გალაღებული ჯეჯილი, რომელიც ხულ რამდენიმე დღის წინათ გვალვისაგან დაჩიავებული და გაყვითლებული იყო.

ნინოწმინდა ნაადრევი გაზაფხულის გამო მწვანე ფერებში ჩაბჟდარა. ივრის წყალს გაუხარია ხეხილის ნარგავები. ყველგან. სადაც კი მოურწყავთ, ჯეჯილი მხახველის გულს ახარებს, მწვანედ ბიბინებს.

სიხარულით აღფრთოვანებული კოლმეურნე მრწყველები მოსალოდნელ მოსავალზე ბაასობენ. უკვე ანგარიშობენ, რამდენი ცენტნერით მეტ ხორბალს მიიღებენ შარშანდელთან შედარებით. ასე თამამად მსჯელობის უფლებას მათ მაცოცხლებელი სარწყავი წყლის გამოყენება აძლევთ. აქაური მიწების გასარწყავებამდე ვგალვდებს ბევრ ძალიან უჭირდა ყანახა და ხეხილს. იყო შემთხვევა, რომ ზაფხულში ბალახიც კი ხმებოდა. ზოგჯერ მარცვლეული კულტურების მოსავალს ძალიან მცირეს იღებდნენ, დათესილ თესლსაც ვერ ანაზღაურებდნენ.

ახლა? თვალს ვერ უჯერებს ადამიანი ისე აყვავებულა ნინოწმინდის ველი. ყველაფერი ეს ივრის დიდებაა, საიც უნდა შეავლო თვალი, — ხეხილით მოკაკრგულ ველებს თუ ჯეჯილით დამშვენებულ გარემოს, ყველგან და ყველაფერში დაუცხრომელი შრომა იგრძნობა.

როგორც იტყვიან ყოველდღე მზის ამოსვლას ასწრებენ ნინოწმინდელი კოლმეურნე მრწყველები სანდრო ასათიანელი, გიორგი სუხიაშვილი, დავით დეკანოზიშვილი, გიორგი ბეჟიტაშვილი.

მწვანედ მობიბინე ჯეჯილში ერთ კოლმეურნეს შეეხვდით. აქვე იყვნენ პარტიის საგარეჯოს რაიკომის მეორე მდივანი შ. გრიგოლაშვილი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი ა. ახელაშვილი. კოლმეურნე სანდრო ასათიანელი შეეკითხეთ:

— რამდენი ჰექტარი ჯეჯილი მორწყეთ?

დღეს ჯერჯერობით მხოლოდ ერთ ჰექტარ ჯეჯილს წყურვილი ივრის წყლით მოვუყალი. ამიერიდან ჩვენ ნათესებს გვალვისაგან აღარ გაუჭირდება, ამიერიდან ბუნებისაგან წყალობას არ დაველოდებით. საღამომდე მინდა სულ მცირე სამი ჰექტარი მოვრწყა.

— არ შევარცხვენთ სამშობლოს. ჩვენი მიწები სარწყავი გახდა. ამიერიდან ივრის წყლით შეგვიძლია დავძლიოთ ბუნების კაპრიზები და გვალვისაგან ვიხსნათ ხეხილის ბაღები. ვენახები, ნათესები, დავახვავოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტები, — ამბობენ კოლმეურნე მრწყველები გიორგი სუხიაშვილი და დავით დეკანოზიშვილი.

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის ნაგებობიდან ივრის წყლით განა მარტო ნათესები მოირწყვება. აქ შეიძლება აუზი ნინოწმინდაში და იქიდან თვითდენებით სასმელი წყალი მიიღონ ქალაქ საგარეჯოს, მანავის, გიორგიწმინდის, ნინოწმინდის, კაკაბეთის, ჩალაურის და სხვა სოფლების მშრომელებმა. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე მიმდინარეობს და აღნიშნული სოფლების მცხოვრებლები მალე საუკეთესო სასმელ წყალს მიიღებენ.

სულ მალე საგარეჯოს გვაღლეთ გამომშრალი ველ-მინდვრები წყურვილს მოიკლავს, გასარწყავდება 28 ათას ჰექტარზე მეტი ნათესები, ხეხილის ნარგავები. ვენახები. ამით უფრო აყვავდება რაიონის ეკონომიკა, უფრო ბედნიერად და საამურად იცხოვრებენ საგარეჯოელი მშრომელები.

შ. ბოგუა.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათზე: ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობა საგარეჯოს რაიონში.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

კარგი დასაწყისი

ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის პირველი დღე ყველაზე მეტ ყურადღებას ამახვილებდა ლენინგრადელ „ზენიტის“ წინააღმდეგ. ანკარაში კიეველმა **პარკუიანმა** გახსნა. შემდეგ ლენინგრადელმა მცველებმა საკუთარ კარში მეორე ბურთი გაიტანეს, ხოლო ბოლოს დინამოელმა **ბიშოვეცემ** ორი გოლით ბაზარდა ანგარიში. გაიმარჯვეს კიეველებმა 4:0.

ბაკოს „ნეფტანიკმა“ საკუთარ მოედანზე პაიერობა ჰქონდა მინსკის „დინამოსთან“. 90 წუთი ისე ამოწურა, რომ მეტოქეებს ბურთი არ გადატანიათ — 0:0.

დონეცკში სტარტი აიღეს ადგილობრივმა „შახტიორმა“ და დონის როსტოვიდან ჩამოსულ სასპორტო კლუბის გუნდმა. „შახტიორის“ დაცვამ ვერ გაუძღო არმიელ ფეხბურთელთა განუწყვეტელ იერიშებს და დამარცხდნენ ანგარიშით 0:2. ორივე გოლის ავტორი იყო **მატვეევი.**

ერევანში ადგილობრივი „არარატის“ მეტოქე იყო კუბაზეველის „ეროლია სოფეტოვი“. ორმხრივ ორიშებს შედეგი არ მოუტანია — 0:0.

ოდესაში თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ გუნდები. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომლის ავტორი იყო **მოსკალენკო.** გაიმარჯვეს ოდესელებმა.

გასული ჩემპიონატის ბრიტანეთის პრიზიორის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს ალმა-ატაში პაიერობა ჰქონდა „კაირატთან“. შეხვედრის შედეგი ფრე — 0:0.

მატჩეგი და შედეგები

ბარდა თბილისსა და ქუთაისისა საკავშირო ჩემპიონატის ალამი საზეიმოდ აღმართეს ჩვენი ქვეყნის კიდევ შვიდ ქალაქში. გაიმართა პირველი ალერტბრალი მატჩები.

სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდი ტაშკენტში შეხვდა ადგილობრივ „პახტაკორს“. ანგარიში პირველ ტაიმში ტორპედოელმა **მიხაილოვამ** გახსნა, მაგრამ მეორე ნახევარში **კაზაკოვმა** წონასწორობა აღადგინა. საბოლოოდ ფრე — 1:1. ჩემპიონმა სტარტზე ერთი ქულა დაკარგა.

ბასული ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — კიევის „დინამო“ თამაშობდა საკუთარ მოედანზე ლენინგრადის „ზენიტის“ წინააღმდეგ. ანკარაში კიეველმა **პარკუიანმა** გახსნა. შემდეგ ლენინგრადელმა მცველებმა საკუთარ კარში მეორე ბურთი გაიტანეს, ხოლო ბოლოს დინამოელმა **ბიშოვეცემ** ორი გოლით ბაზარდა ანგარიში. გაიმარჯვეს კიეველებმა 4:0.

ბაკოს „ნეფტანიკმა“ საკუთარ მოედანზე პაიერობა ჰქონდა მინსკის „დინამოსთან“. 90 წუთი ისე ამოწურა, რომ მეტოქეებს ბურთი არ გადატანიათ — 0:0.

დონეცკში სტარტი აიღეს ადგილობრივმა „შახტიორმა“ და დონის როსტოვიდან ჩამოსულ სასპორტო კლუბის გუნდმა. „შახტიორის“ დაცვამ ვერ გაუძღო არმიელ ფეხბურთელთა განუწყვეტელ იერიშებს. ხოლო **იაბლონსკიმ** ორ-ორ გოლი ანგარიშით 0:2. ორივე გოლის ავტორი იყო **მატვეევი.**

ერევანში ადგილობრივი „არარატის“ მეტოქე იყო კუბაზეველის „ეროლია სოფეტოვი“. ორმხრივ ორიშებს შედეგი არ მოუტანია — 0:0.

ოდესაში თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და ოდესის „ჩერნომორეცის“ გუნდები. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომლის ავტორი იყო **მოსკალენკო.** გაიმარჯვეს ოდესელებმა.

ბასული ჩემპიონატის ბრიტანეთის პრიზიორის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს ალმა-ატაში პაიერობა ჰქონდა „კაირატთან“. შეხვედრის შედეგი ფრე — 0:0.

ბოლო ამბები • ცნობები • ფაქტები

ბაკოს „ნეფტანიკმა“ საკუთარ მოედანზე პაიერობა ჰქონდა მინსკის „დინამოსთან“. 90 წუთი ისე ამოწურა, რომ მეტოქეებს ბურთი არ გადატანიათ — 0:0.

ბასული ჩემპიონატის ბრიტანეთის პრიზიორის არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდს ალმა-ატაში პაიერობა ჰქონდა „კაირატთან“. შეხვედრის შედეგი ფრე — 0:0.

ნარეკვეტებლობა სტარტზე

ჩემპიონატის სტარტზე ქუთაისსა ტორპედოელთა პირველი მეტოქე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი სახელმოხვეჭილი გოლეტეკი — მოსკოვის „სპარტაკი“ იყო.

ბრძოლა ორმხრივი იერიშებით დაიწყო. მე-9 წუთზე ქუთაისელ მცველთა შეცდომის გოლი. მოჰყვა. მაინ ავტორი იყო **სიომინი.** 20 წუთის შემდეგ პრიბილოვმა ანგარიში გაათანაბრა. მაინ ბურთი ბადეში ჩააგდო **ბ. ბაბაევმ.** ეს ბურთი ბევრ ეჭვს ბადებს. ბურთი ბადეში ალბათ ფეხბურთელ **ბ. ბაბაევმ** ხელით ჩააგდო. ეს ასე მოხდა: მოსკოველმა მცველმა **ბ. ბაბაევ**ს ბურთი ბადეში ჩააგდებინა